# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 4 აგვისტო 2001 №146 (1419) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველით წვრილმან ინტრიგებს ორტაიმიან ფეხბურთზე

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

**2 ტური**

4 აგვისტო, შაბათი

| |
|---|
| დინამო – გორდა |
| სამგურალი – გურია |
| ლოკომოტივი – მეტალურგი |

5 აგვისტო, კვირა

| |
|---|
| ტორპედო – კოლხეთი |
| მერანი – სიონი |
| ვიტ ჯორჯია – ბათუმი |



კოპენჰაგენიდან უგუნებოდ დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედო" შინ ფოთის „კოლხეთის" უეჭველ დამარცხებას რომ შეეცდება, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ ახლა ფოთელებისაც ვთქვათ, პირველ ტურში 6:0 მოგებული მატჩის მერე დიდ გულზე რომ არიან. „კოლხეთისგან" შერცხვენილი წყალტუბოელები კი „გურიას" უმასპინძლებენ. ფერი ფერსაო და, ვინძლო, „სამგურალმა" ქომაგს თვალი გაუსწოროს. მეცამეტე ეროვნულის მეორე ტურის ექვსივე შეხვედრას მცირე ინტრიგა ახლავს. ზემოთ ნახსენებთ თუნდაც „მერანი" — „სიონი" დავუმატოთ: ესენი ხომ ერთმანეთთან დანა-სისხლად არიან. ან კიდევ „ვიტ ჯორჯია" — „ბათუმის" იტალიური ინტრიგა — ბათუმელთა ყოფილი და ვეტერინართა ამჟამინდელი მწვრთნელი ჯანი კარნევალი. ერთი სიტყვით, ფეხბურთს ინტრიგა კი უხდება და არის კიდეც, მაგრამ საკითხავი ესაა, თავად ფეხბურთი თუ იქნება...

იხილეთ მესამე გვერდი

## გრანტ ჰეკეტმა კაცობრიობა ათი წამით დააწინაურა


გრანტ ჰეკეტი

სიჩუმეა საფეხბურთო სტადიონთა უმეტესობაზე, კალათბურთის თუ ჰოკეის დარბაზებში. და საერთოდ, ზაფხულია, თითქმის მთელი სპორტული მსოფლიო ისვენებს, მაგრამ სპორტი უკვდავი და ულეულია — ყველაზე დიდ ხვატშიც თავისი გზით მიდის...

აგვისტოს მთავარი მოვლენა მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელიც კანადურ ედმონტონში წუხელ მაშინ გაიხსნა საზეიმოდ, როცა თქვენ მორიგ სიზმარს ხედავდით. პლანეტის რჩეულ ათლეტთა აბსოლუტური უმრავლესობა იქაა და ეჭვი არ არის, რამდენიმე მსოფლიოს რეკორდი დაემხობა. რა გააჩერებთ დედამიწის უსწრაფეს სპრინტერ მორის გრინსა და მისთანებს, როცა წლის მთავარ შეჯიბრზე, ზღვა ხალხის წინ გამოვლენ?! მათი მონდომება უსაზღვრო იქნება, ხოლო ერთი გასაცვიფრებელი რეკორდის ამბავი გუშინ ავსტრალიიდანაც მოვიდა...

აი, სულ ამ დღეებში იყო, გრანტ ჰეკეტმა იაპონიაში, მოცურავეთა მსოფლიოს პირველობაზე საოცარი მსოფლიოს რეკორდი რომ დაამყარა: თავისუფალი სტილით 1500 მეტრის მსოფლიოს რეკორდი მთელი 7 (!) წამით შეამოკლა. რომ ეთქვა, ეხლა კი დავისვენებ, ჩემდათავად წყლისკენ გამხედავისო, ვინ დასძრახავდა, ამან კი გუშინ, ავსტრალიაში ახალმიბრუნებულმა, „მოკლე წყალში" არამარტო საცურაო სამყაროს გამაოგნებელი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა: 800 მეტრი 7.25,28-ში გაცურა! არ იკითხავთ, ამჯერზე რამდენი ჩამოაჭრა ძველ მსოფლიოს რეკორდს?! თითქმის 10 წამი! კირენ პერკინსის რვა წლის წინანდელი მიღწევა 7.34,90 იყო.

ასეთი ამბავი ცურვის ისტორიას არ ახსოვს.


მორის გრინი

# აიაქსის ულტიმატუმი: შოთაოზის სამი წელი

## კოს კი უთხრეს. არველაძე მწვრთნელის ხელშია

**ოთხი** სეზონი ისე ითამაშა შოთა არველაძემ ამსტერდამის „აიაქსში", რომ მწვრთნელთან თუ კლუბის ხელმძღვანელობასთან არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია. ახლა კი ცოტა სხაგვარადაა საქმე. გაისად, ივლისში შოთას კონტრაქტი უმთავრდება „აიაქსთან" და თავისუფალი აგენტი ხდება, ანუ, თუ სხვა კლუბში მოისურვებს კარიერის გაგრძელებას, „აიაქსი" ვერაფერს იხეირებს. ჰოდა, ამსტერდამელებმა გადაწყვიტეს ახლავე დაეჭირათ თადარიგი და ჩვენებურს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს. არველაძემ თავისი მოითხოვა — ახალ ხელშეკრულებაში პირობების გაუმჯობესება. „აიაქსის" ხელმძღვანელობას ეს არ მოეწონა და გუნდის მთავარ მწვრთნელს კო ადრიანსეს კატეგორიულად მოსთხოვა კლუბის ინტერესების დაცვა — თუ შოთა ახალ კონტრაქტს ახლავე არ მოაწერს ხელს, ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშოო.

დაგვეთანხმებით, უცნაურია, რომ ევროპის ასეთი სახელოვანი კლუბი მწვრთნელის საქმეში უხეშად ერევა. გეხსომებათ, წინა უქმეებზე ამსტერდამში ოთხი ტურნირი რომ ჩატარდა და გადამწყვეტ მატჩში („აიაქსი" — „ლივერპული") არველაძე შეცვლაზე ათამაშეს, თუმც სწორად ქართველი ფორვარდის გოლით გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა იმ ტურნირში. შოთას ძირითადში არდაყენება სწორედ ამ კონფლიქტით გახლდათ გამოწვეული. სიტუაცია ტურნირის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. კო ადრიანსე სინანულით აღნიშნავდა — არველაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია და ყველას გვინდა, „აიაქსში" დარჩეს, მაგრამ სანამ ის ახალ კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, ძირითადში ვერ ვათამაშებ, ვალდებული ვარ კლუბის პოლიტიკას მხარი დავუჭიროო — მხრები აიჩეჩა მთავარმა მწვრთნელმა. შოთამ კი თავისი თქვა, თუ ასეა, ახალ კლუბში გადასვლაზე ვიფიქრებო.



შოთა არველაძე (მარცხნივ) „აიაქსში" დარჩა

„აიაქსის" ქართველ მეგოლეს გუშინ შევეხმიანეთ და, ცხადია, ამ კონფლიქტზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

**— მართლა ასე ულტიმატუმის სახით მოგთხოვეს ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა?**

— საერთო ჯამში ასე გამოვიდა. თუმცა ახლა, ბოლო მომენტში ვითარება შეიცვალა — ასეთი ტონი აღარ არის.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში გლაზგოს „სელტიკთან" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებ?**

— ახლა ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. კლუბის ხელმძღვანელები კო ადრიანსეს საქმეში აღარ ერევიან.

**— ოთხთა ტურნირზე „ლივერპულთან" შეხვედრაში კი პირქით იყო?**

— მაშინ, მართლაც კონფლიქტის გამო ვერ მოვხვდი ძირითადში.

**— მიუხედავად ამისა, კვლავ გსურს კარიერა „აიაქსში" გააგრძელო?**

— მასეა, მაგრამ ჯერ პირობებზე უნდა შევთანხმდეთ.

**— მერედა, „აიაქსი" უარზეა პირობები რომ გაგიუმჯობესოს?**

— ასე არ ვიტყოდი. ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი, კვლავ გუნდში ვარ, ყველაფერი ისევ ჩვეულებრივად მიდის.

**— „აიაქსი" რა ვადიან კონტრაქტს გთავაზობს?**

— სამწლიანს.

**— შენი აგენტის, ივან ბენეშისგან რა ისმის?**

— ჯერჯერობით, ახალი არაფერი.

**— იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის დამთავრებამდე მოგიწევს „აიაქსიდან" წასვლა, დაახლოებით რამდენის გადახდა მოუწევს შენს მოსურნე კლუბს?**

— ვერ გეტყვით. შეიძლება „აიაქსმა" უკვე დაიწყო ვაჭრობა და ჩემი სატრანსფერო თანხაც დაადგინა, მაგრამ ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.

**— ვიცით, რომ კო ადრიანსე სიმპატიებითაა განწყობილი შენს მიმართ. კლუბის ხელმძღვანელობასა და შენს შორის თავისებური შუამავლის როლს ის ასრულებს?**

— ალბათ, აღარ ღირს ვითარების დრამატიზირება. უბრალოდ ძნელია, როცა ასეთი ფორმით გაგაცნობენ თავიანთ პოზიციას. ჰოდა, მეც ჩემი ვუთხარი. ახლა უკვე ულტიმატუმებზე ლაპარაკი აღარ არის.

**— საბოლოოდ როდის გადაწყდება ყოველივე?**

— არ ვიცი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „აიაქსის" ხელმძღვანელობაც დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს ყველაფერი.

**დავით თავართქილაძე**

# ნეფთჩიმ ძმები გაყარა

**32 წლის** ქართველი ნახევარმცველი გიორგი კილასონია ბაქოს „ნეფთჩიში" გადავიდა. წინა სეზონში გიორგი ძმასთან, ვარლამთან ერთად თაუზის „თურანის" ღირსებას იცავდა. ჩემპიონატის დასრულებისთანავე ძმები მშობლიურ რუსთავში დაბრუნდნენ და „გორდას" შემადგენლობაში საკონტროლო მატჩებშიც მიიღეს მონაწილეობა. თუმც „გორდას" ხელმძღვანელობის იმედს, ორივე ძმა რუსთავულ კლუბში ჩარიცხულიყო, „თურანის" მთავარმა მწვრთნელმა ცივი წყალი გადაასხა. საქმე ისაა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი დაინიშნა ბაქოს „ნეფთჩის" მთავარ მწვრთნელად და მაშინვე ძმების თავისთან ხილვის სურვილი გამოთქვა. მან წადილი ნაწილობრივ აისრულა, რადგანაც, მოგეხსენებათ, ვარლამი რუსთავში დარჩა და პირველ ტურში „გორდას" ორი გოლითაც შეეწია.

გიორგი კილასონია „ნეფთჩის" აზერბაიჯანის ჩემპიონატის გარდა უეფას თასზეც დაეხმარება, სადაც ბაქოურ გუნდს მეტოქედ სლოვენიური „გორიცა" ჰყავს.

კიდევ ერთი აზერბაიჯანული კლუბი „შაფა" კი ორ ქართველ ფეხბურთელს — 28 წლის მცველ გურამ ასპინძელაშვილსა და 22 წლის ნახევარმცველ დავით პეტრიაშვილს აკვირდება. ორივე წინა სეზონში ბოლნისის „სიონში" თამაშობდა. ასპინძელაშვილი ბოლნისურ კლუბამდე დედაქალაქური „მრეტების", „მერანისა" და „არსენალის" ღირსებას იცავდა. 22 წლის პეტრიაშვილს კი ყველაზე დიდ მიღწევად საქართველოს თასის ფინალისტობა აქვს წყალტუბოს „სამგურალის" შემადგენლობაში. ახალგაზრდა ფეხბურთელს სპეციალისტები თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო მას ბევრი გაუცდა და ამჯერად ნაკლებამბიციურ „შაფაში" ჩარიცხვას ცდილობს.

შეგახსენებთ, რომ „შაფა" აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდია. გარდა ამისა, მის რიგებში ეროვნული ნაკრების სამი ფეხბურთელიც ირიცხება. მისი მეტოქე უეფას თასზე კი ასევე სლოვენიური „ოლიმპია" გახლავთ.

**ქახა შალამბერიძე**

REUTERS



მარსელი — ბორდო. მარსელელი პიოტრ ჭვირჩევსკი და ბორდოელი ალექსეი სმერტინი (მარჯვნივ)

# ქვერნაძე უკრაინის არმიამ გაიწვია

**შესაძლოა** უკრაინის ჩემპიონატში მალე ქართველ ლეგიონერთა რიცხვი გაიზარდოს. კერძოდ, კიევის ცსკა აპირებს, კონტრაქტი გააფორმოს 19 წლის რევაზ კვერნაძესთან.

ერთ დროს ქუთაისის „ტორპედოს" ნახევარმცველის, ალექსანდრე კვერნაძის ვაჟმა საფეხბურთო კარიერა სწორედ „ტორპედოში" დაიწყო, თუმცა ახალგაზრდა თავდამსხმელს მინდორზე გასვლა იშვიათად უწევდა. ამის გამო მან მეზობელ წყალტუბოს „სამგურალში" გადასვლა და პირველ ლიგაში თამაში ამჯობინა. კვერნაძეს, აწ უკვე ტორპედოელ ზვიად ქუთათელაძესთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის „სამგურალისს" უმაღლესლიგელობაში.

უმაღლესში აღზევებულმა „სამგურალმა" კი გაძლიერების ნაცვლად ბევრი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. მათ შორის რევაზ კვერნაძეც, რომელმაც სეზონის დამთავრებისთანავე დატოვა კლუბი და გუნდის საძიებლად უცხოეთში წავიდა.

ივლისში კვერნაძე უნგრულ „დებრეცენში" ისინჯებოდა, თუმც უშედეგოდ, საქმე კონტრაქტის გაფორმებამდე აღარ მისულა.

ახალგაზრდა თავდამსხმელი უკლუბოდ მაინც არ დარჩენილა. როგორც მოგახსენეთ, ქართველი ფეხბურთელით უკრაინული ცსკა დაინტერესდა და დიდი შანსია, კვერნაძემ სწორედ ამ კლუბის მაისურა მოირგოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვერნაძეს არმიულ კლუბში კიდევ ერთი ქართველი, თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილი მცველი ლევან მიქაძე დახვდება.

**ქახა შალამბერიძე**

## საფრანგეთი

I დივიზიონი

II ტური

მარსელი 0:0 ბორდო

## ჩეხეთი

II ტური

იაბლონეცი 3:1 სლავია

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" 6 აგვისტოს, 13 საათზე ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში აწყობს პრესკონფერენციას.

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ორი იზოლაცია

„ლაციო" ვეღარ ჩამოვა და ერთი მხრივ ეს საწყენიც არ არის.

იმ მხრივ არ არის საწყენი, რომ წაგების ცქერა, თუნდაც იმიტომ, რომ უცქირო მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს, სასიამოვნო რამედ არ დაგირჩება. „ლაციო", „ლაციო" და მერე კი იცი, რომ აგებ.

სხვა მხრივ კი, საწყენია, რომ ქუთაისის „ტორპედო" „ლაციომდე" ვერ მივიდა. „ლაციოსთან" წაგების მიუხედავად, უეფას თასზე გადაინაცვლებდა და ეს, სექტემბერში, ოდნავ მაინც გამოაცოცხლებდა ჩვენს ჩამკვდარ საერთაშორისო ცხოვრებას.

„ტორპედომ" მეტი ვერ შეძლო, ისე, როგორც ვერ შეუძლიათ ქართულ გუნდებს წლების განმავლობაში.

სხვა ათას ჭირთან ერთად, ჩვენს ფეხბურთს რომ ხრავს, ერთ-ერთიც ისაა, რომ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი დე ფაქტო იზოლაციაშია. ყველას ახსოვს, რომ ქართული ფეხბურთი დე იურე იზოლაციაშიც იყო ერთხანს, როცა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საერთაშორისო აღიარებას ელოდებოდა. ამ დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტიც ის იყო, რომ იზოლაცია უკან დაგვწევსო. გაირკვა, რომ უკან ამგვარ იზოლაციას არ დავუწევივართ.

ახლა რომ მკითხოთ, ის დე იურე იზოლაცია სჯობდა ამ დე ფაქტო იზოლაციას, ვინაიდან მაშინ გარეთ ვერ გადიოდი, მაგრამ იცოდი, რომ ადრე თუ გვიან შეაბიჯებდი დიდ, უცნობ და ჯადოსნურ სამყაროში. გვქონდა იმედი. ახლა კი თითქოს ამ სამყაროში ხარ, მაგრამ არც იმედი შეგრჩენია და არცა ხარ ამ სამყაროში, ზღურბლიდან გამოგისვრიან ხოლმე, როგორც კაზინოს კართან ჩხუბის ამტეხ გალეშილ კაცს.

საბჭოთა კავშირში რომ ბასკებს არ ემოგზაურათ და მხოლოდ თურქეთის და სპარსეთის გუნდებს ეთამაშათ ჩვენთან, ღმერთმა იცის, საით წავიდოდა მაშინდელი საბჭოური (და ჩვენიც) ფეხბურთი. ნებაყოფლობითი და მედიდური, მოგვიანებით კი იძულებითი იზოლაცია თვით ინგლისელებს დაუჯდათ ძვირად.

იტყვით, მაშინ სხვა დრო იყოო, დღეს ტელევიზორში რივალდოს და ბექემს ვუყურებთო. მაგრამ ტელევიზორი ერთია და თამაში მეორე. ამიტომ, ყოველთვის სჯობს, რომ „ლაციო" ჩამოვიდეს. „აუტჩიკი" ბიჭებისთვის მაინც არის საჭირო, სხვისთვის თუ არა.

ჩვენი იზოლაცია სრულიად განსაკუთრებული იზოლაციაა. დე ფაქტო გახლავთ და არ ჰგავს იმ ქვეყნების დე ფაქტო იზოლაციას, სადაც ფეხბურთის კლუბებში გასართობად თამაშობენ. მშვენიერი საფეხბურთო ისტორიის მქონე ქვეყანა, გაპარტახებული ფეხბურთის გამო მოწყვეტილია ევროპულ საფეხბურთო ცხოვრებას. მოწყვეტილია, უპირველესად განწყობით, ფეხბურთისადმი მიდგომით, საფეხბურთო არსის ვერგაგებით.

აბა, რომელი ქვეყნის გუნდები ასრულებენ საერთაშორისო სეზონს აგვისტოს პირველ რიცხვებში?

ჩამოვთვალოთ... მაგრამ ის სხვაა და ყველამ იცის, რომ სხვაა.

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

2 ტური ანონსი

# მერანმა უზბანს არ უღალატა

**შეუყვა** ალმართს მეცამეტე ეროვნული. სანამ ის მწვერვალზე მოექცევა, ბევრი წყალი ჩაივლის. იქნება ბევრი ვნებათაღელვა და პირველი ტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გვარიანი არეულობებიცაა მოსალოდნელი.

ერთი სენსაცია, მოკვეთილი მსაჯი და მსაჯობით უკმაყოფილო რამდენიმე კლუბი — აი, ეს დაგვიტოვა მეცამეტე ჩემპიონატის პირველმა ტურმა და დაგვემშვიდობა.

დღეს მეორე ტური დაიწყება. შაბათ-კვირას თამაშები თანაბრად განაწილდა და ახლა ჩვენთან ერთად მოლოდინშია.

რა უნდა იყოს საინტერესო ამ უქმეებზე? რა და, თითოეული გუნდის საბოლოო მიზანი ნაწილობრივ მაინც გამოიკვეთება. გამოიკვეთება, რამდენად რეალურია ზოგიერთის ამბიციურობა.

სიახლე კი არ შედგა — ავჭალურმა „მერანმა", საშინაო მატჩების გამართვას ნავთლუღში რომ აპირებდა, ბოლო წამს „სინათლეს" ვერ უღალატა და მშობლიურ უბანში დარჩა.

ცენტრალური თამაში ერთია — ქუთაისში „ტორპედო" „კოლხეთს" მასპინძლობს. რიონისპირელები ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ „კოპენჰაგენს" დაეჩაგვრინენ. ძოძუაშვილის გუნდისთვის ევროპული ზაფხული დასრულდა. ახლა მხოლოდ შინაური სარბიელის იმედად უნდა იყვნენ.

ნამგზავრი და ნირწამხდარი დაუხვდება „ტორპედო" მეტოქეს. სოსო ფილიას ბიჭებს კი სადარდებელი არაფერი ჰქონიათ, კარგად მოემზადნენ სეზონისთვის და პირველ ტურში დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს მოწინაალმდეგე. ერთი ეგაა, სიცხეს და კოლოებს შეუწუხებია „კოლხეთი". მასპინძლები სიგრილეს ვერა, მაგრამ რამდენიმე საათით აბეზარ მწერებს მაინც მოაშორებენ სტუმრებს. ეყოფათ კი კოლხებს ყოველივე გამარჯვებისთვის? რა გითხრათ, ჯერჯერობით თამაშამდე ორივე გამარჯვებულია, კვირას კი ვნახოთ...

კიდევ ორი გამარჯვებული, ოღონდ შაბათ საღამოს, „ეროვნულზე" დადგება ერთმანეთის პირისპირ. ათგზის ჩემპიონი ჩემპიონატის პირველი სენსაციის ავტორს ეთამაშება. „დინამოს" გერმანული შეკრების შემდეგ ძალები სრულად ჯერაც არ აღუდგენია, „გორდას" ორიოდ ტრავმირებულის ბედი აწუხებს, მაგრამ თავისი ლიდერის, ვარლამ კილასონიასი ეიმედება.

უპირატესობა მაინც „დინამოს" მხარესაა. საჩემპიონო ამბიცია წაფორხილების უფლებას არ იძლევა.

სანამ გეზს „ეროვნულისკენ" აიღებდეთ, გირჩევთ, წინადღით ვაკეში შეიაროთ. ვიცე-ჩემპიონი ცენტრალური მცველის გარეშე დაუხვდება ზესტაფონელ მეტალურგებს. ქუთაისში უსამართლოდ გაძევებული ბაქრაძის ადგილს, ალბათ, სალუქვაძე დაიკავებს, ხოლო მის ადგილზე, არ არის გამორიცხული, დავითნიძე ვიხილოთ.

„მეტალურგი" კი ძალიან ჯიუტი და მებრძოლი გუნდი ჩანს. ვასილ ჭეიშვილის ბიჭებმა პირველ ტურში სტუმრად „ბათუმს" გვარიანი ოფლი აღვრევინეს. კინაღამ ქულას გამოჰკრა ხელი „მეტალურგმა", თუმცა კინაღამ არ ითვლება.

ძალიან საინტერესო შეხვედრაა მცხეთაში. ორი ერთმანეთისთვის უხერხული მეტოქე ეთამაშება ერთმანეთს. ვითარებას ისიც ძაბავს, რომ „ვიტ ჯორჯიას" „ბათუმის" ყოფილი თავკაცი წვრთნის. ჯანი კარნევალი ყველაფერს გააკეთებს, რათა სტუმარს ქულა არ დაანებოს.

ორივე გუნდი სახეცვლილია. ორივეს წამყვანი მოთამაშეები დააკლდა, მაგრამ საკითხავია, ვისი დანაკლისია უფრო ფასეული. „ბათუმმა" ამირან მუჯირი, კახა მჟავანაძე და ბესო თედორაძე მოისაკლისა. სხვათა შორის, თედორაძე დღეს ვეტერინარია და არც არის გამორიცხული, კვირას ყოფილ გუნდს დაუპირისპირდეს.

კარნევალი საჯაიასა და ყიფიანს შეელია. ახლებურად სწადია გუნდის ათამაშება და ფეხბურთელებიც შეტევაზე დაგეშა, მაგრამ დაცვაში გაჩნდა დიდი პრობლემები. აქამდე ვიტელები საიმედო უკანა ხაზით იწონებდნენ თავს, ახლა კი...

ვერეტინართა რიგებში მეკარის შეცვლასაც უნდა ველოდოთ. ალბათ, ისევ მირზა მერლანს ვიხილავთ ძირითადში, თუმცა სადაც სამართალია, უნდა აღინიშნოს კიდეც, რომ ერთ შანსს დავით მამარდაშვილიც იმსახურებს.

„ვიტ ჯორჯია" ის გუნდია, რომელიც ვერა და ვერ გაუტეხია „ბათუმს". ავანსები ვიტელთა გამარჯვებაზე მეტია გაცემული, მაგრამ...

კოლხთაგან პირველ ტურში შერცხვენილი „სამგურალი" წყალტუბოში „გურიას" მასპინძლობს და საკუთარი ქომაგის თვალში რეაბილიტაციას ეცდება. ექვსი გოლით წასაგები წყალტუბოელებს რა სჭირდათ, მაგრამ ფეხბურთელები ვერ გააჩერეს გუნდში და...

„გურიას" შესაძლებლობები კი მთლად წყალტუბოში არა, მაგრამ ნაწილობრივ იქ მაინც გამოჩნდება.

იყო დრო, „მერანს" და „სიონს" ფრის გარდა სხვა შედეგით შეხვედრა არ დაუმთავრებიათ. ასე გახლდათ, როცა ავჭალელებს და ბოლნისელებს მოსისხლე მტრებად მიაჩნდათ ერთმანეთი და მაშინაც, როცა მათი დაპირისპირება არაფერს წყვეტდა.

ერთხელაც დაირღვა ტრადიცია, მოიგო „მერანმა" და მას აქეთ ხან ერთია გამარჯვებული, ხანაც მეორე. ვნახოთ, ამჯერად თითქმის თანაბარძალოვანი გუნდების პაექრობა რა შედეგით დასრულდება.

**გამუკა ძგანტალიანი**



ძველი მერანელი ბახვა ამბიძე დღეს ბოლნისელი არჩილ შაკიაშვილის (№3) თანაგუნდელია

თბილისი. 26 მაისი. 4 აგვისტო. 19.30 საათი

## ლოკომოტივი — მეტალურგი

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); გ. კოკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: ბაქრაძე (ლოკომოტივი)

თბილისი. ეროვნული. 4 აგვისტო. 20 საათი

## დინამო — გორდა

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ი. შალამბერიძე; ა. კრიჟაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

წყალტუბო. 26 მაისი. 4 აგვისტო. 18.30 საათი

## სამგურალი — გურია

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა (თბილისი), ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ქუთაისი. ტორპედო. 5 აგვისტო. 20 საათი

## ტორპედო — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

თბილისი. სინათლე. 5 აგვისტო. 18.30 საათი

## მერანი — სიონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

მცხეთა. არმაზი. 5 აგვისტო. 18.30 საათი

## ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი) ; სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა



ნაცნობი სურათი, ნაცნობი მეტოქეობა: კვირას ზურაბ იონანიძე (შუაში) კვლავაც შეუტევს გელა ფანჩულიძეს (№14), მიხეილ ქობულაძეს (№18) და კახა გოროზიას

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 გურია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | −1 | 0 |
| 9 მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 |
| 10 ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 11 სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 12 სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | −6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | −6 | 0 |


გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ბირკირკარა — ლოკომოტივი

ბირკირკარა. „ტა ქალი". ტევადობა 18 000. 9 აგვისტო

# წითელ-ყვითელი კათოლიკენი

*როცა წილისყრის შედეგები გამოცხადდა, ნათელი იყო, ამ ზაფხულს ქართულ გუნდებს ორი ისეთი მოწინააღმდეგე შეხვდათ, ნაქცევა როგორმე რომ უნდა მოეხერხებინათ. ერთი ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი" გახლდათ, მეორე კი მალტური „ბირკირკარა". „ლინფილდი", ღვთის მადლით, გავიარეთ. აი, „ბირკირკარა"... არა, წესით და რიგით, უნდა მოვუგოთ, მაგრამ როცა ზესტაფონური ამბავი გვახსენდება, განა შეიძლება რაიმე ლოგიკაზე ლაპარაკი?..*

**ქართულ-მალტური** ოფიციალური საკლუბო შეყრა პირველად ამ ხუთი წლის წინ ვნახეთ. ჩვენმა „მარგვეთმა" „სლიმა უონდერერს" იქ 3:1 მოუგო, შინ კი მოახერხა და 0:3 (!) წააგო... ესეც თქვენი მალტელები.

მალტა მეტად ლამაზი და ეგზოტიკური კუნძულია. ამ სამი წლის წინათ თავად გახლდით იქ და საქართველოს ნაკრების ჯერჯერობით ერთადერთი ტრიუმფის მომსწრეც შევიქმენი — „შინდისფერებმა" „ტა ქალიზე" ოთხთა ტურნირი მოიგეს.

ცოტანი არიან, სულ 300 ათასამდე მოსახლეა და ბუნებრივია, ნიადაგ დამპყრობელთა უღელქვეშ იყვნენ. დღესაც ძალიან ეტყობათ მათი გავლენა. მალტური ენა თუ არქიტექტურა რაღაც იტალიურს, არაბულსა და ინგლისურს შორისაა. ქალაქები ჰქვია, თორემ ჩვენებურად ეს ქალაქები ქუჩებს უფრო ჰგავს. აი, მაგალითად, წარმოიდგინეთ, რუსთაველი ერთი ქალაქი რომ იყოს, ჭავჭავაძე მეორე და მარჯანიშვილი მესამე... ასეა, ვთქვათ, სლიმას, ვალეტას ან ბუჯიბას ფეხით სულ რაღაც თხუთმეტ-ოც წუთში ჩაივლით. ეგ კია, როგორც ყველა პატარა ქვეყანა, ესენიც ფრიადი რელიგიურობით გამოირჩევიან, კათოლიციზმი იქ ყველაფრის თავი და ძირია.

აბა, მალტურ ფეხბურთზე რა უნდა ვთქვათ, მით უმეტეს, „ბირკირკარაზე", რომელიც ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, მაგრამ სულ უმაღლესსა და პირველ ლიგებს შორის მოძრაობდა. ბოლო ოთხი წელია მარაქაში გაერია და ევროთასებზეც გამოჩნდა. ქვეყნის ჩემპიონი სულ ერთხელ, 2000-ში ყოფილა, 1997 წლიდან კიდევ სამჯერ მეორე ადგილი დაუკავებია, წლეულს კი მესამე საფეხურით დაკმაყოფილდა.

საერთოდ, მალტურ ფეხბურთს საინტერესო ისტორია აქვს. მათი ფეხბურთის ფედერაცია ერთ-ერთი უძველესია ევროპაში, დაარსების თარიღად 1900 წელი უწერიათ, თუმცა მაშინ ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ და ოფისიც ლონდონში ჰქონდათ. დამოუკიდებელი მალტური ფეხბურთის ამბები 50-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს. ამ დროს დაიწყო თამაში ეროვნულმა გუნდმაც და კლუბებიც ევროსარბიელზე 1960 წლიდან გამოჩდნენ.

დღეისთვის კუნძულელთა ყველაზე ტიტულიანი გუნდები „ფლორიანა" (25-გზის ჩემპიონი), „სლიმა უონდერერსი" (23) და „ვალეტა" (18) არიან.

მალტის ჩემპიონატები 1910 წლიდან ტარდება. პროფესიონალიზმი 1986-დან შემოიღეს, ხოლო 1991-92 წლების სეზონიდან თავისი პრემიერლიგაც ჩამოაყალიბეს, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს. ამ ათეულიდან თითქმის ყველა ეროვნულ „ტა ქალის" სტადიონზე თამაშობს, მხოლოდ ორს, კუნძულ გოცოს გუნდს აქვს 6 ათასიანი სარბიელი და ასევე „ჰიბერნიანსი" თამაშობს 8 ათასიან „გრაუნდზე". ასე რომ, „ბირკირკარაც" „ლოკომოტივს" 1980 წელს გახსნილ „ტა ქალიზე" დაუხვდება.

როგორი გუნდია დღევანდელი „ბირკირკარა"? ოფისი „ოლდ ჩერჩ სტრიტზე" აქვთ და ბულგარელი მწვრთნელი, 42 წლის ათანას მარინოვი ჰყავთ. ამ ზაფხულს მთავარი ამბავი ის მოხდა, რომ მარინოვმა ლამის მთელი დაცვა გაყიდა. ამათგან ორი იუგოსლაველი გახლდათ, დრაშკო ბრაუნოვიჩი და ჯორჯე პინტაჩი.

მოსულთაგან საინტერესოა მავანი ნიგერიელი ფორვარდი ჩუს ნვოკო, რომელიც ადრე აქვე თამაშობდა და ძალა მალტის ნაკრებშიც მოუსინჯავს. მერე სოფიის ცსკა-ში გადაბარგდა და წლეულს ისევ დაბრუნდა. ბოლო წლებში ბირკირკარელებს ჰყოლიათ ტუნისელი, ლიბიელი და არგენტინელი ლეგიონერიც კი, თუმცა მათი ოსტატობის დონე ცალკე საკითხია.

ამ ზაფხულს გუნდიდან წავიდა ნახევარმცველი ჯონათან მაგრი ოვერანდი. ეს კაცი მეგოლეობით გამოირჩეოდა და მალტის ნაკრების მაისურაც არაერთხელ მოურგია. დღევანდელი შემადგენლობიდან კი ეროვნულ გუნდში ნახევარმცველები 31 წლის ჯო ბრინკატი და 24 წლის ანტონი ზაჰრა თამაშობენ.

„ლოკომოტივთან" პირველ მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს გამოცდილი იუგოსლაველი მეკარე რობერტ სავიჩი, ვინც „ლოვენბრაუს თასზე" „ვალეტასთან" ამასწინანდელ მატჩში ტრავმა მიიღო. მის ადგილს სავარაუდოდ რუბენ დებონო დაიკავებს.

აი, ასეთია „ბირკირკარას" ამბები. ფორმის ფერებით თურქულ „გალათასარაის" ჩამოჰგვანან, წითელ-ყვითლები აცვიათ. ბოლო მატჩი კი იმავ „ლოვენბრაუს თასზე" 2 აგვისტოს გამართეს „სლიმასთან", 1:2 წააგეს და თუ გაინტერესებთ, ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: რუბენ დებონო, კენეტ სკულუნა, ჯუსტინ ტელუსი, მიკაელ სპიტერი, ანჯელო გალეა, უილიამ კამენზული, სოლანი ვაისმენი, როდერიკ ბრიფა, ნვოკე კემიცე, ჰუბერტ სუდა, ანტონი ზაჰრა.

„ბირკირკარა" ემახეთ და ხუთი სპონსორი კი ჰყავს. ამათგან ორი ძალიან ცნობილი ფირმებია. აბა, „მაკდონალდსს" და „კიას" ვინ არ იცნობს.

**სოლომონ გულისაშვილი**

## ბირკირკარა

ბირკირკარა, მალტა

დაარსდა 1950 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ვიქტორ ზამიტი
გენერალური მდივანი: ჯო ბრინკატი
მთავარი მწვრთნელი: ათანას მარინოვი
სტადიონი: „ტა ქალი" (ტევადობა 18 000)
ქვეყნის ჩემპიონი(1): 2000
ჩემპიონთა თასზე: 2 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება, ბურთები 2:6
უეფას თასზე: 6 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 5 წაგება, ბურთები 2:17

### ბირკირკარა ევროთასებზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1997-98 | უეფას თასი | სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) | 0:1, 1:3 |
| 1998-99 | უეფას თასი | შახტარი (უკრაინა) | 1:2, 0:4 |
| 1999-00 | უეფას თასი | ლიუნგბიუ (დანია) | 0:7, 0:0 |
| 2000-01 | ჩემპიონთა ლიგა | რეიკიავიკი (ისლანდია) | 1:2, 1:4 |



*პირველ რიგში:* ლინო გალეა, მიკაელ კუტაჯარი, როდერიკ ბრიფა, დარენ პისანი (გადავიდა „სენტ პატრიკსში"), როჯერ კამილერი (მეორე მწვრთნელი), ჯო აბელა (მენეჯერი), ათანას მარინოვი (მთავარი მწვრთნელი), ანტონი ზაჰრა, ჰუბერტ სუდა, ჯო ბრინკატი, მიკაელ გალეა.
*მეორე რიგში:* სიმონ სამუტი (გუნდიდან წავიდა), ჩუკს ნვოკო, ჯუსტინ ტელუსი, დრაშკო ბრაუნოვიჩი (გუნდიდან წავიდა), გრემ ბენკილი (გადავიდა „ჰამრუნში"), უილიამ კამენზული, ჯონატან მაგრი ოვერინდი (გადავიდა „ჰამრუნში"), სტეფან ზაჰრა (გადავიდა „სლიმაში"), ჯონ გალეა (მენეჯერი).
*მესამე რიგში:* პეიტ მალია, კენეტ სკილუნა, დავიდ კლუეტი, შონ კინი, რობერტ სავიჩი, მიკაელ სპიტერი, ჯორჯე ინტაჩი (გადავიდა „ვოივოდინაში").



# როინ ონიანმა ჭკუა გზაში ისწავლა

*ონიანების ოჯახი წარმოშობით ლენტეხის რაიონიდანაა. თავად როინი ზუგდიდში დაიბადა, ფეხბურთის თამაშიც იქ დაიწყო, ხოლო ეროვნული ჩემპიონატის ერთი სრულფასოვანი სეზონი ხობში ჩაატარა.*

*დღეს თბილისური „ლოკომოტივის" მარჯვენა ფრთა ეროვნული გუნდის წევრობის კანდიდატია. ნაკრების თავკაცმა როინ ონიანი სალუქსემბურგო სიაში შეიყვანა.*

*ალექსანდრე ჩივაძემ თუ ასე გააგრძელა, მალე ნაკრებში ყველა მონადირე ეყოლება. დებიუტანტ ლადო ბურდულს მწყერზე ნადირობა იტაცებს, როინ ონიანმა გუშინ გაგვიმხილა, ჯიხვებზე ნადირობა მიზიდავსო.*

*...აუტანელ ხვატში „ლოკომოტივის" ვარჯიში დასრულდა. როინმა ხუთი წუთი დამელოდეთო, წყალი გადაივლო და რკინიგზელთა ბაზაზე ჩვენი პირველი ინტერვიუც შედგა. ეროვნული გუნდის დებიუტანტმა საუბარი მეთორმეტე ეროვნულში „ლოკომოტივის" უიღბლობით დაიწყო...*

— ჩვენ ჩემპიონობა და თასი ერთად გვსურდა, მაგრამ ბოლომდე საბრძოლველად ძალები არ გვეყო. რაღაც ვერ გავთვალეთ, თანაც ზეექვსეულის თითქმის ყველა გუნდი ჩვენ გვებრძოდა და ზეწოლას ვერ გავუძელით. საბოლოოდ, თასიც დავკარგეთ და ჩემპიონობაც.

**— საკუთარი სტადიონის გახსნის დღეს, საზეიმო ვითარებაში გვარიანად შერცხვით. თასი „ტორპედომ" წაგართვათ.**

— ქუთაისელებმა ჩვენ თითქმის ვერაფრით გვაჯობეს. თანაც, ეს წყეული ტრავმები მაინცდამაინც 26 მაისისთვის დაგვერია. საერთოდ ვერ ითამაშა კახა ცხადაძემ, კახა გოგიჩაიშვილი კი ხუთ წუთში შესაცვლელი შეიქნა. ეს ორი ფეხბურთელი ძალიან ბევრს ნიშნავდა „ლოკომოტივისთვის". მიუხედავად ამისა, პენალტებში დავმარცხდით, რასაც პირადად მე წაგებას არ ვეძახი. ლატარიაა, იღბლის ამბავია. იმ დღეს კი „ტორპედოს" გაუღიმა ბედმა.

**— „ხობის" შემდეგ „ლოკომოტივში" შენი კარიერა მთლად კარგად ვერ აეწყო. რევაზ ძოძუაშვილის რჩეულს, ნოდიას მოსვლამდე, სათადარიგოობა გქონდა მისჯილი. უთამაშებლობის მიზეზი რა იყო?**

— მე აქამდე ჩუმად ვიყავი და არც ამიერიდან ვიტყვი რაიმეს. მართალია, გული მწყდებოდა, უსამართლოდ მექცეოდნენ, მაგრამ ჩუმად, მუხლჩაუხრელად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. ერთხანს „მერანში" გადასვლაც გადავწყვიტე და ახალი სეზონისთვის ავჭალაშიც ვემზადებოდი, მაგრამ რკინიგზელთა თავკაცობამ უკან დამაბრუნა. მეთორმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპიდან კი „ლოკომოტივის" ძირითადში დავიმკვიდრე ადგილი.

**— დაცვის ცენტრში მოთამაშეც გახსოვხართ და ნახევარდაცვაშიც. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოკვეთილი ადგილი არ გაქვს. თავად რომელ ამპლუას ეგუები ყველაზე უკეთ?**

— როგორ გითხრათ, ყველა ადგილზე სადაც მითამაშია, გარკვეულ პრობლემებს შევჭიდებივარ. დაცვის ცენტრში თანაგუნდელები უნდა დამეზღვია და ხდებოდა ხოლმე, კაცზე გადასვლას ვერ ვასწრებდი. მარჯვენა მცველობისას შეტევაში ხშირად ვერ ვერთვებოდი. საყრდენობის დროს ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა მიჭირდა.

ახლა კახა ცხადაძე მთელი მარჯვენა ფლანგის კონტროლს მავალებს. წინ და უკან სირბილიც ძნელი ყოფილა. ამას კი შევეგუე, შეკრებაზე კარგად მოვემზადე, მაგრამ ახალ პრობლემას წავაწყდი. ხშირად გავდივარ საგოლე პოზიციაზე და უმეტეს შემთხვევაში ბურთს ან კარს ვაცილებ, ანაც მეკარე მჯაბნის. მოკლედ, სწავლის პროცესი არ სრულდება. კიდევ ბევრია შესასწავლ-დასახვეწი.

**— ფეხბურთის გარეთ რა იტაცებს ნაკრების დებიუტანტს?**

— დრო არ მრჩება, თორემ ოჯახთან ერთად დასვენება ყველაფერს მირჩევნია. დიდი სიამოვნებით ჩავიდოდი ზუგდიდში, მერე სვანეთში მეუღლესთან და ვაჟთან ერთად.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ეროვნულ გუნდში გამოძახება?**

— სიმართლე გითხრათ, არც ველოდი. ჩუმად, ჩემთვის კი მიოცნებია, მაგრამ ოდესმე ოცნება თუ ამიხდებოდა, არ მეგონა. მადლობის მეტი რა მეთქმის, ვეცდები, რაღაც მეც დავამტკიცო და ნაკრებს მთლად უსახელოდ არ დავშორდე. იცით, გარკვეულწილად შევიბორჭე, ნაკრებში გამოძახების შესახებ რომ შევიტყვე. კლუბი მაინც სხვაა, ეროვნული გუნდის მაისურა კი უზარმაზარი პატივი და პასუხისმგებლობაა. თანაც ვის გვერდით გიწევს ყოფნა, რა სახელებია — ქეცბაია, კალაძე, არველაძე... შიში საერთოდ არ მჩვევია. ახლა იმაზე ვფიქრობ, იმათში არ დავიკარგო.

**— უცხოური კლუბებიც მოგივლია, თუმც იქ გამგზავრებული ყოველთვის უკან ბრუნდებოდი.**

— ვიყავი რუსულ „ალანიაში", მოლდოვურ „შერიფში", მაგრამ ამით რა მოვიგე. ისე, ჭკუის სასწავლებლად კი გამომადგა. საქართველოდან მოუმზადებელი არ უნდა წახვიდე. თანაც იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისი სახელით მიდიხარ და ვის მიჰყვები.

მეორედ აღარ შევცდები. დღეს წინ და უკან სიარულის დრო აღარ არის. ახლა ჩემთვის კლუბი და ნაკრები ყველაზე მთავარია. „ლოკომოტივმა" უნდა იჩემპიონოს, ხოლო ნაკრებში ვეცდები, არ შევრცხვე და მწვრთნელებიც არ გავაწბილო.

**მამუკა ძმანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

| II ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ბაიერნი | შალკე |
| ვოლფსბურგი | ზანქტ პაული |
| ჰერტა | დორტმუნდი |
| ვერდერი | კოტბუსი |
| ჰამბურგი | შტუტგარტი |
| კიოლნი | მიუნხენი |
| ჰანზა | ლევერკუზენი |
| **ხვალ** | |
| ნიურნბერგი | ფრაიბურგი |
| ლაუტერნი | გლადბახი |

# გერმანიაში ბრაზილიელებს ატყვევებენ

**ამ შაბათ-კვირას** ბუნდესლიგაში მეორე ტური გაიმართება. თუმცა ორი გუნდისთვის, გელზენკირხენის „შალკესთვის“ და როსტოკის „ჰანზასთვის“ სეზონი დღეს დაიწყება. მოგეხსენებათ, მათი პირველი ტურის მატჩები 21 აგვისტოსთვის გადაიდო.

მოკლედ, შარშანდელი ლამის ჩემპიონი და სეზონის გმირი „შალკე“ დღეს დაიწყებს და თანაც როგორ, პირდაპირ მთავარ მტერთან, შარშანდელ ჩემპიონ „ბაიერნთან“ ბრძოლით გახსნის ახალ სეზონს.

მიუნხენელები თურმე ფრიადი ინტერესით ელიან ამ მატჩს და ვარაუდობენ, რომ დღეს „ოლიმპიაშტადიონზე“ თავისუფალი ადგილი არ დარჩება. ჯერ ერთი, „შალკეს“ მასპინძლობენ და მეორეც, გასულ უქმეებზე „მიონხენგლადბახთან“ წაგების მონელება და დავიწყება სურთ.

გაურკვეველია „ბაიერნის“ ლიდერ შტეფან ეფენბერგის ამბავი. ზოგიერთი სააგენტოს ცნობით, მას მუხლის ტკივილი აწუხებს და დასვენება მოუწევს. თითქოს ოტმარ ჰიცფელდსაც უთქვამს, ეფენბერგი ბოლომდე ჯერ არ მომჯობინებულა და შაბათს არ ვათამაშებო. ჟურნალ „კიკერს“ კი ის სავარაუდო შემადგენლობაში ჩაუწერია. ისიც ფაქტია, რომ ეს გამოცემა იშვიათად ცდება ხოლმე.

იმავე „კიკერთან“ საუბარში „შალკეს“ მწვრთნელმა ჰუუბ სტივენსმა დაიჩივლა, ჩემი ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი არ ვარო: „ზოგიერთი მოთამაშე სასურველი ფორმისგან შორსაა — თქვა სტივენსმა — რა შემიძლია გავაკეთო? უკვე რამდენიმე კვირაა მათ ამის შესახებ ვეუბნები“.

„ბაიერნის“ მცველმა ბიქსენტე ლიზარაზუმ კი განაცხადა, რომ მიუნხენელები საკუთარ თავში დარწმუნებულნი არიან და შეეცდებიან ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვონ: „მართალია, მიონხენგლადბახში წავაგეთ, მაგრამ ეს გრძელი სეზონის მხოლოდ ერთი მატჩი იყო — დასძინა საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელმა — ბუნდესლიგა ძლიერი ლიგაა, ალბათ, უფრო ძლიერი, ვიდრე შარშან იყო. მაგალითად „დორტმუნდმა“ რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელი მიიწვია და წლეულს ამბიციაც გაეზრდება, თუმცა, ჩვენ ჩვენსას ვითამაშებთ“.

„კიკერის“ ვერსიით „ბაიერნი“ დღეს 4-3-3 ტაქტიკური სქემით ითამაშებს. მასპინძლებს თავდასხმაში ელბერი, პიზარო და შოლი ეყოლებათ.

სხვათა შორის, „ბაიერნმა“, „ჰერტამ“ და „ლევერკუზენმა“ ფიფას წერილით მიმართეს, რათა ნება დართონ თავისი ბრაზილიელი ფეხბურთელები პანამასთან ამხანაგური მატჩისთვის არ გაანთავისუფლონ. თამაში 12 აგვისტოს უნდა გაიმართოს, სამ დღეში კი ბრაზილიელებს პარაგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფრიად მნიშვნელოვანი მატჩი ელით. გერმანელები კი მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელების რვადღიან შეკრებაზე გაშვება ნამეტანია.

ნაკრებში მიწვევა ბაიერნელმა ელბერმა, ლევერკუზენელმა ლუსიომ და ჰერტელმა მარსელინიომ მიიღეს.

„დორტმუნდი“ ბერლინს ეწვევა „ჰერტასთან“ სათამაშოდ. მთავარი ფიგურა „პარმადან“ გადასული ბრაზილიელი მარსიო ამოროზო იქნება, რომლის ორი გოლითაც მათიას ზამერის გუნდმა პირველ ტურში „ნიურნბერგი“ დაამარცხა. დორტმუნდელები ელიან, რომ ამოროზოსთან თავდასხმის წყვილში „ანდერლეხტიდან“ ნაყიდი ჩეხი იან კოლერიც გაიბრწყინებს.

„დორტმუნდისგან“ დაჩაგრულ „ნიურნბერგს“ ხვალ ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ ეწვევა. წინა მატჩისა არ იყოს, „კიკერს“ ძირითადში მხოლოდ კობიაშვილი ჰყავს გამწესებული. თუმცა იაშვილსა და ცქიტიშვილთან ერთად სათადარიგოთა სკამზე, შესაძლოა, ზაზა ზამთარაძეც გამოჩნდეს.

არჩილ არველაძის „კიოლნი“ კი ბოლოზე მყოფ „მიუნხენს“ უმასპინძლებს. აჩიკო სათადარიგოთა შორის იქნება.

**სოლომონ გულისაშვილი**



შტეფან ეფენბერგი

# NANDROLONE

# დე ბურის გზამ დავიდსი ბლატერთან მიიყვანა



ედგარ დავიდსი

**ჰოლანდიის** ნაკრების კაპიტნის, ფრანკ დე ბურისა და მისი თანაგუნდელის, ედგარ დავიდსის გზები გაიყარა. ორი ვარსკვლავი კარგა ხანია, ერთმანეთის მხარდამხარ არა მარტო მოედანზე იბრძოდა. წყვილი არანაკლებ შეხმატკბილებულად ირჯებოდა, რათა ნანდროლონის მომხარებლების სახელი ჩამოერეცხათ. კაპიტანს გაუმართლა. მავანმა გერმანელმა მეცნიერმა ფრანკის ორგანიზმში აკრძალული მასტიმულირებელი ნივთიერების მოჭარბება ფეხბურთელის არასწორი დიეტისა და სამედიცინო აბების შედეგად მიიჩნია და ამაში სხვებიც დაარწმუნა. იქამდე დე ბურის დისკვალიფიკაცია თორმეტთვიანი იყო. ახალი გამოკვლევების შედეგმა ბარსელონელს იძულებითი დასვენება ორ თვემდე შეუმცირა. აი, სურინამული წარმომავლობის სათვალიანის საქმე კი მთლად კარგად ვერ უნდა იყოს. ფრანკ დე ბურის მაგალითით შეგულიანებულ დავიდსს და მის ადვოკატებს საქმე დე ბურის მსგავს კალაპოტში მიუმართავთ.

ამ დროს კი ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი დავიდსის შესახებ აცხადებს: „ფეხბურთელის სისხლში ნანდროლონის გადამეტებული რაოდენობა ორმა ტესტმა დააფიქსირა. მაგრამ ახალი მონაცემებით შეიძლება ვთქვათ, რომ დავიდსი ნანდროლონის გარდა, სპორტული ფორმის გასაუმჯობესებლად, სხვა პრეპარატებსაც მოიხმარდა. ამჟამად მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა. იმ ნივთიერებებს, რომლებსაც დავიდსი იღებდა, დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევები სულ მალე გამოავლენს“.

ზეპ ბლატერის სიტყვებს დიდი ხმაური მოჰყვა. ფეხბურთელის ადვოკატმა ფიფას პრეზიდენტის განცხადებას არასერიოზულიც კი უწოდა. მისი ვერსიით, ფეხბურთელის ორგანიზმში ნანდროლონის დოზა გლაუკომის საწინააღმდეგო პრეპარატების შემცველობამ გაზარდა.

გამოკვლევები თავისას იტყვის, ნანდროლონი კი უკვე დამტკიცებას არ საჭიროებს. ამ სტიმულატორისთვის იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ 17 მაისს დავიდსი უვადო შვებულებაში გაისტუმრა. ფიფამ ორ კვირაში ფეხბურთელი არა მარტო იტალიური, არამედ მთელი საფეხბურთო მსოფლიოსგან მოკვეთა, რაც ნიშნავს, რომ „იუვენტუსის“ ნახევარმცველი სანაკრებო თამაშებიდანაც თავისუფალია.

როგორც ზემოთ ვთქვით, დავიდსს ძალიან მცირე შანსი აქვს, ამ საქმიდან ფრანკ დე ბურივით იოლად გამოვიდეს და მხოლოდ იმ წყალობას უნდა დასჯერდეს, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უწესრიგობისთვის დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს შესთავაზა. იტალიის ფეხბურთის მესვეურთა გადაწყვეტილებით, დოპინგის მოყვარულ, აგრეთვე თაღლით ცრუევროპელებს, რომელთაც ევროკავშირული ყალბი პასპორტები ჰქონდათ, ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

**გიორგი გამარდაშვილი**

# სავიოლას მამა ფეხბურთზე მეტად უღირს

**ჩემპიონთა** ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წინ, „ბარსელონას“ მწვრთნელ კარლოს რექსაჩს, ალბათ, ჩვეული 4-3-3 სქემის შეცვლა და ნახევარდაცვის ოვერმარსითა და ჯოვანით გაძლიერება მოუწევს, რადგან კატალონიელთა ახალწვეულმა არგენტინელმა ხავიერ სავიოლამ გუშინწინ კლუბი დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა. მიზეზი მისი ავადმყოფი მამაა.

მომავალი კვირისთვის სავიოლა მამას ბარსელონას ერთ-ერთ კლინიკაში გადაყვანას უპირებდა, მაგრამ ამ დღეებში ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა.

„გუნდისთვის ეს ცუდია — განაცხადა რექსაჩმა — მაგრამ ახლა მთავარი სავიოლას მდგომარეობაა. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება და იგი მალე დაგვიბრუნდება“.

არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერმა უკვე მოასწრო კატალონური კლუბის მაისურით სამ ამხანაგურ თამაშში ოთხი ბურთის გატანა. სავარაუდოდ, სავიოლა მორიგ ამხანაგურ მატჩში ლისაბონის „სპორტინგთან“ ვერ ითამაშებს, ასევე მოსალოდნელია, რომ ახალგზარდა გოლეადორმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი პოლონურ „ვისლასთან“ გამოტოვოს.

აღნიშნულ თამაშში კატალონიელებს რივალდოც ვერ დაეხმარება, რომელიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული.

„ჩვენ კარგი გუნდი გვყავს — აღნიშნა რექსაჩმა — მაგრამ სავიოლას ამბავს, რივალდოს ნაკრებში გამოძახებაც დაემატა და ერთდროულად ორივეს გარეშე გაგვიჭირდება“.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანელი** თავდამსხმელი კიკო ნარვაესი რომში ჩავიდა და ამ უქმეებზე, „ლაციოსთან“ გააფორმებს ხელშეკრულებას. მადრიდის „ატლეტიკოსთან“ 29 წლის ფეხბურთელის თაობაზე ერთდროულად სამი პრემიერლიგური კლუბი — „ასტონ ვილა“, „ჩელსი“ და „ნიუკასლ იუნაიტედი“ აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ესპანელმა სერია A-ში თამაში არჩია. კიკო „ატლეტიკოში“ 1993 წელს „კადისიდან“ მივიდა, მადრიდულ კლუბში რვა სეზონი გაატარა და ქომაგთა კერპად იქცა. 1996 წელს კიკო ესპანეთის ჩემპიონიც გახდა. წლეულს დედაქალაქურმა კლუბმა პრიმერადივიზიონში დაბრუნება ვერ შეძლო და თავდამსხმელმაც, რომელსაც კონტრაქტი ამოეწურა, „ვისენტე კალდერონზე“ დარჩენა აღარ ისურვა.

**იუგოსლავიის ნაკრების ნახევარმცველ დუშან პეტკოვიჩი ბელგრადის „ობელიჩიდან“ „ვოლფსბურგში“ გადაბარგდა. მან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ბუნდესლიგელებმა კი 500 ათასი დოლარი გადაიხადეს. „ძლიერ ლიგაში მომიწევს თამაში და ეს სასიამოვნოა. ასევე მოხარული ვარ, რომ მწვრთნელ ვოლფგანგ ვოლფთან მექნება ურთიერთობა. დიდი იმედი მაქვს, რომ „ვოლფსბურგთან“ ერთად წარმატებას მივაღწევ“ — განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა, რომელიც წარსულში „მალიორკასა“ და იაპონური „მარინოსის“ ღირსებას იცავდა.**

**ფრანგმა** მცველმა ფრედერიკ დანუმ „ტრუასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ოსერის“ ყოფილი მოთამაშე 1998 წლიდან „ოვიედოში“ თამაშობდა, თუმცა ეს კლუბი ესპანეთის მეორე დივიზიონში დაქვეითდა და ფრანგმა იქ გაჩერება აღარ ისურვა. „ოვიედომ“ მის სანაცვლოდ 1,8 მილიონი დოლარი მიიღო. „კარგია, რომ სამშობლოში დავბრუნდი. სასიამოვნო იყო ესპანეთში გატარებული დროც. ვთვლი, რომ „ოვიედოში“ დიდი გამოცდილება შევიძინე და ახლა შევეცდები, ეს „ტრუაში“ დავამტკიცო“ — თქვა 26 წლის ფეხბურთელმა.

**ესპანური სააგენტოების ცნობით, მადრიდის „რეალი“ და „ინტერი“ მოლაპარაკებას აწარმოებენ და არ არის გამორიცხული, ბრაზილიელი სავიო და ურუგვაელი ალვარო რეკობა ერთი სეზონით გაცვალონ. შეგახსენებთ, რომ რეკობა ამას წინათ პასპორტის გაყალბებაში ამხილეს და ერთი წლით იტალიაში თამაში აუკრძალეს. სავიო კი, რომელიც „რეალში“ ოთხი სეზონია, თამაშობს, ბოლო ხანს „სამეფო კლუბის“ ძირითად შემადგენლობაში თითქმის ველარ ხვდებოდა. ასევე გავრცელდა ხმები, რომ „რეალთან“ შეთანხმებას „ფიორენტინა“ აპირებს, რათა ბოსნიელი ფორვარდი ელვირ ბალიჩი იჯარით გადაიყვანოს.**

**იტალიის** ჩემპიონმა „რომამ“ არგენტინული „ნიუელ ოლდ ბოიზიდან“ მეკარე სებასტიან რეხასი გადაიბირა. რომაულ კლუბში იგი თავიდან, ალბათ, სარეზერვო გოლკიპერი იქნება. შეგახსენებთ, რომ „რომამ“ ცოტა ხნის წინ ივან პელიცოლი „ატალანტაში“ გაუშვა და ახლა არგენტინელი მის შემცვლელად მიიყვანა. 26 წლის რეხასმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ თავიდან, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა ჩემთვის საოცნებო გუნდში ჩავირიცხე“.

**ურუგვაელი ნახევარმცველი მარსელო რომერო „მალაგამ“ „პენიაროლიდან“ გადაიყვანა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 24 წლის ფეხბურთელი „პენიაროლის“ აღზრდილია და ამ კლუბთან ერთად 1997 და 99 წლებში ურუგვაის ჩემპიონი გახდა. „მალაგაში“ იგი ხესუს მოვილიას შეცვლის, რომელმაც კარიერის გაგრძელება მადრიდის „ატლეტიკოში“ არჩია. „მალაგას“ ხელმძღვანელობამ ასევე განაცხადა, რომ რუს მცველ ვიქტორ ონოპკოსთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მალე, ალბათ, გადაიბირებს კიდეც.**

**ნორვეგიის** ნაკრების მოთამაშე ბიორნ ტორე კვარმე „სენტ ეტიენიდან“ „რეალ სოსიედადში“ გადავიდა. „პრიმერადივიზიონში თამაშით უდიდეს გამოცდილებას შევიძენ. ჯონ ტოშაკთან მუშაობა დიდად სასიამოვნოა“ — განაცხადა ნორვეგიელმა, რომელსაც ადრე „ლივერპულშიც“ უთამაშია. იმასაც შეგახსენებთ, რომ უელსელი ჯონ ტოშაკი „სოსიედადში“ მისვლამდე „სენტ ეტიენს“ წვრთნიდა.

# ახსოვთ თასი და არაყი

**რაც დრო გადის,** მით უფრო რომანტიულ საბურველში ეხვევა 1966 წლის 30 ივლისი. ამიტომაც იყო, რომ ორშაბათს ლონდონის „როიალ გარდენ ოტელში“ 35 წლისთავი დიდი ზეიმითა და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების ჟივილ-ხივილით აღინიშნა. „90-იან წლებამდე ასეთი შეხვედრები არც გვქონია, მაგრამ მერე ჩრდილიდან გამოვედით, ყველას გავახსენდით და იმ დღის მოგონებებმა ახალი ძალით იფეთქა. ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ მას მერე ჩვენ ნაკრებს აღარაფერი მოუგია“ — თქვა გერმანიასთან ფინალში ჰეთ თრიქის ავტორმა, სერ ჯეფ ჰერტსმა.

მის გარდა კენსინგტონის ბაღთან მდებარე სასტუმროში ჯორჯ კოენი, ალან ბოლი, გორდონ ბენქსი, მარტინ პიტერსი, ჯეკი ჩარლტონი და როჯერ ჰანტი შეიკრიბნენ. მოგონებები, იცოცხლეთ, მრავლად იყო:

***ალან ბოლი:*** „მე სხვებთან შედარებით ახალგაზრდა ვიყავი და ახლა რომ ვფიქრობ, იმ დღის მნიშვნელობას მაშინ ნამდვილად ვერ ჩავწვდი. საფინალო სასტვენი გაისმა თუ არა, ჯეკი ჩარლტონი მუხლებზე დაეცა, მისი ძმა ბობი კი ცრემლად დაიღვარა. მათ ამ მოვლენის არსი შეგნებული ჰქონდათ, მე კი, ვიმეორებ, პატარა გახლდით და მოედანზევე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, საღამოს კარგად გავქეიფებენ-მეთქი. ასეც მოხდა, თუმცა დღეს რომ იმ პურისჭამის მენიუს მეკითხებიან, ვერაფერს ვპასუხობ — მხოლოდ უზომო რაოდენობის არაყი მახსოვს“.

***ჯეკი ჩარლტონი:*** „მაშინ იმაზე ნაღდად არ ვფიქრობდით, ჩემპიონობაზე რამდენს გადაგვიხდიდნენ. იმ დროს ყველა ჩვენგანის ხელფასი კვირაში 20 გირვანქა იყო, მსოფლიოს თასის მოპოვებისთვის კი ასოციაციამ 1000-1000 გირვანქა ჩამოგვირიგა. მთავრობამაც პატივი გვცა და ამ პრემიალურიდან ბეგარა არ გადაგვახდევინა“.



35 წლის წინ, 1966 წლის 30 ივლისს ფეხბურთის სამშობლოს ეროვნულმა გუნდმა პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა

საერთოდ, ფულის თემას იუბილეზე ბევრი შეეხო:

***ალან ბოლი:*** „ახლა მშვენიერი თაობა გვყავს, რომელსაც შანსი აქვს ჩვენი წარმატება გაიმეოროს. ოღონდ მთავარია, ამ ბიჭებისთვის ფული პირველ ადგილზე არ იყოს“.

***ჯორჯ კოენი:*** „ჩვენ ჯიგარი გვქონდა, ახლა კი, როცა პატარა ბიჭი კვირაში 100 ათას იღებს, ჯიგარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

***ჯეფ ჰერსტი:*** „დღეს რომ სახელოვანი ფეხბურთელი გახდე, ეროვნული გუნდის მაისურა აუცილებელი სულაც არაა. არადა, ახლანდელი თაობა ჩვენს მერე მართლაც საუკეთესოა და მას ბევრის მიღწევა ძალუძს. ინგლისს კვლავ რაღაცის მოგება და ახალი გმირები სჭირდება, თორემ სულ ჩვენზე ხომ არ უნდა ილაპარაკოს ხალხმა. შარშან ერი ორად გაიყო ნაკრებში შვედი ერიკსონის დანიშვნის შემდეგ, მე კი ვფიქრობ, ოღონდ ამათ მოიგონ და თუ გინდა მიკი მაუსი ან დონალდ დაკი ედგათ სათავეში“.



ალან ბოლი



ჯეკი ჩარლტონი

***ჯეკი ჩარლტონი:*** „პრობლემა ისიც მგონია, რომ ამ ბოლო დროს ინგლისში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოჰყავთ ფეხბურთელები და აქაურებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. არადა, ამათ არანაკლები შეუძლიათ. აღარც გაგება ძველებური. აბა, 70-იანი წლების „ლიდსი“ გაიხსენეთ — ბრდღვნიდა ყველაფერს და ამ გუნდისა ნებისმიერს ეშინოდა. ახლანდელებიდან ბექემი მომწონს, მაგრამ აზრზეა ეგ ბიჭი. როი კინი და ჰარი კიუელიც ჯიგრები არიან“.

ნოსტალგიური შეხვედრა სასტუმროს გარეთ შეკრებილ ფანებთან შეხვედრით დასრულდა — 35 წლის შემდეგ ჟიულ რიმეს თასი გამარჯვებულებმა კიდევ ერთხელ აიტაცეს.

დასრულდა აქა ამბავი?

რომელი თასი ასწიეს ბებრებმა, საკითხავი, აი, ეს არის!

თურმე ნუ იტყვით და, 1966 წელს ინგლისში ჟიულ რიმეს თასის ორი ასლი დამზადებულა: ერთი იმ დროს, როცა ჩემპიონატის დაწყებამდე მოპარული ნამდვილი თასი (რომელიც 1983 წელს მისმა მუდმივმა მფლობელებმა ბრაზილიელებმა სამუდამოდ დაკარგეს) სადღაც ლონდონურ ბუჩქებში ეგდო, მეორე კი — ჩემპიონატის გასრულების შემდეგ. როგორც იქნა, [illegible] ლი ერთმა ფინიამ, სახელად პიკლზმა, იპოვა.

სამეფო ლოჟაში დედოფალმა ნაკრების კაპიტანს, აწგარდაცვლილ ბობი მურს ორიგინალი გადასცა. ამანაც აიტაცა და... თასიც იქვე, უსაფრთხოების მიზნით ასლით შეცვალეს. საპატიო წრეს ინგლისის ნაკრები უკვე ასლით ასრულებდა.

მერე, ტრადიციისამებრ, ოთხი წელი მსოფლიო ფეხბურთის უმთავრესი ჯილდო ინგლისში ჰქონდათ, 1970 წელს კი მექსიკის გზას გაუყენეს, ასოციაციის ჯილდოთა გალერეაში კი ახალი ასლი დაიტოვეს. ძველი, თურმე, ავტორისთვის დაუბრუნებიათ. ამანაც უსარგებლო ნივთი სახლში, ლოგინის ქვეშ შეინახა.

ეს ამბავი ბრიტანულმა ეროვნულმა ლატარიამ ახლახან შეიტყო და მორიგი საქველმოქმედო აქციაც შედგა: ლატარიის ხელმძღვანელობამ თასის ეს ასლი 254 ათას გირვანქად შეიძინა და პრესტონში მშენებარე ფეხბურთის მუზეუმს გადახცა, აი, სწორედ ეს თასი აღმართეს 1966 წლის ჩემპიონებმა 2001 წლის ერთ მზიან ორშაბათს.

იუბილეს ბოლოს „ნეიშნლ ლოთერის“ თავკაცობამ ისიც გამოაცხადა, რომ პრესტონის მუზეუმისთვის ის ძელიც იყიდეს, რომელსაც ჯეფრი ჰერსტის დარტყმული ბურთი მოხვდა და... სკანდალურ გოლზე საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა: „კარგით რა, კილომეტრით შიგნით იყო“ — თქვა ალან ბოლმა და ჩაიცინა.

**გიგა ძოგახიძე**



ჯეფ ჰერსტი

# ზენდენმა ჩელსური სიტყვა თქვა

**„ბარსელონასა“** და „ჩელსის“ შორის კარგა ხანს გაწელილი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. ლონდონურმა კლუბმა კატალონიელთა სალაროში 7,5 მილიონი გირვანქა გადარიცხა, სანაცვლოდ კი „სტემფორდ ბრიჯზე“ 24 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდევინ ზენდენი წაიყვანა. ფეხბურთელი „ჩელსის“ მაისურით უკვე გავიდა „სტემფორდ ბრიჯის“ მინდორზე და პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძალიან მოხარული ვარ, ძლიერ პრემიერლიგურ კლუბში რომ ჩავირიცხეო. მან ასევე დასძინა, დიდი იმედი მაქვს, პირველივე სეზონში მოვიგებ რაიმე ჯილდოსო.

ლონდონურმა კლუბმა კი სეზონის დაწყებამდე უკვე 32,2 მილიონი გირვანქა დახარჯა ახალი მოთამაშეების შესაძენად. შეგახსენებთ, რომ ზენდენამდე „ჩელსის“ მაისურა ფრენკ ლამპარდმა, უილიამ გალასმა და ემანუელ პეტიმ მოირგეს. ეს უკანასკნელი ბრიტანელებმა ჰოლანდიელის მსგავსად „ბარსელონადან“ გადაიბირეს.

„ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ჰატჩისონმა ზენდენის ყიდვაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ბარსელონასთან“ მოლაპარაკებამ კარგა ხანს გასტანა. ნიჭიერი ნახევარმცველის ყიდვას ბევრი სხვა კლუბიც ცდილობდა, თუმცა საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ. მოხარულები ვართ და იმედი მაქვს, ბუდევინის კარგი თამაშის წყალობით ეს გრძნობა მთელი სეზონის განმავლობაში გაგვყვება“.

თავად ჰოლანდიელმა თქვა, რომ უმთავრეს კონკურენტად „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ წლეულს „წითელი ეშმაკები“ ხუან სებასტიან ვერონისა და რუუდ ვან ნისტელროის ყიდვით კიდევ უფრო გაძლიერდნენ.

ზენდენს ახალ გუნდში ოთხ თანამემამულესთან ერთად მოუწევს თამაში. შეგახსენებთ, რომ „ჩელსიში“ უკვე ირიცხებიან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, მარიო მელხიოტი, ედ დე გუი და უინსტონ ბოგარდი.

ლონდონური კლუბის თემა კი იმავე კოლინ ჰატჩისონის ნათქვამით ამოვწუროთ. „ახალი სეზონის დაწყებამდე, ალბათ, აღარავის ვიყიდით. ისიც ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში „სტემფორდ ბრიჯი“ ვინმემ დატოვოს. ყველა რგოლში კარგად გაწონასწორებული შემადგენლობა გვყავს და ახლა მწვრთნელის ამოცანაა, ფეხბურთელები ერთ გუნდად შეკრას“.

ბოლოს ორიოდ სიტყვა „ბარსელონაზეც“ ვთქვათ. ზენდენის გაყიდვის შემდეგ გავრცელდა ცნობა, რომ კატალონიელები ფრანგ მეკარე რიშარ დუტრუელსაც ყიდიანო. არგენტინელი რობერტო ბონანოს მისვლის შემდეგ ძირითადი შემადგენლობაში ადგილდაკარგულ მეკარეს მსურველი უკვე გამოუჩნდა — „სარაგოსა“ და ის მალე ალბათ, ამ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

**ნიკა შუბლაძე**



ბუდევინ ზენდენი

## ფინეთი

XX ტური: ლაჰტი — კუოპიო 2:1; ჯაზი — ატლანტისი 1:1; იოკერიტი — ინტერი 1:0; ტამპერე — ვაასა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 20 | 11 | 7 | 2 | 32:15 | 40 |
| ტამპერე | 18 | 12 | 3 | 3 | 32:22 | 39 |
| ჰიკ | 20 | 10 | 8 | 2 | 37:12 | 38 |
| ჰაკა | 19 | 9 | 5 | 5 | 29:17 | 32 |
| ინტერი | 20 | 9 | 4 | 7 | 29:26 | 31 |
| ატლანტისი | 20 | 7 | 7 | 6 | 27:27 | 28 |
| ლაჰტი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:27 | 23 |
| კუოპიო | 19 | 5 | 6 | 8 | 17:26 | 21 |
| ვაასა | 19 | 6 | 2 | 11 | 22:31 | 20 |
| იოკერიტი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:38 | 20 |
| როვანიემი | 19 | 4 | 5 | 10 | 15:27 | 17 |
| ჯაზი | 19 | 1 | 7 | 11 | 12:30 | 10 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ზიდანი ლოგინიდან ლოგინამდე

კარგია არა, ზიდანობა? ვფიქრობთ, მართლაც კარგი უნდა იყოს. დადიხარ, მსოფლიოს ნახულობ, ხალხი გცნობს, ტაშს გიკრავს, ძალიან ბევრი ფული გაქვს...

ოღონდ ზიდანობა ძალიან ძნელიცაა. ერთი რომ, ზიდანობის ნიჭი უნდა გქონდეს და ეს ნიჭი რომ შენიშნონ, მუშაობით ცხრა პირი ტყავი უნდა გაგძვრეს.

როგორია ზიდანის ერთი ჩვეულებრივი დღე? ამით დაინტერესებული ესპანელი ჟურნალისტი ნიონურ შეკრებაზე მყოფ ფეხბურთელს მთელი დღე არ მოსცილებია და აი, ეს ჩანაწერი გააკეთა:



## 8:30



ზოგი ამ დროს უკვე სამსახურშია, ზოგი ემზადება, ზოგიც ახლა იძინებს. ვისენტე დელ ბოსკეს კი დილის ცხრის ნახევარი ადგომის დროდ დაუთქვამს და გინდ ზიდანი იყავი, გინდა ივან კამპო, უნდა დაემორჩილო. თან მწვრთნელმა წინა საღამოს თქვა, ვარჯიში იქამდე დავიწყოთ, სანამ ძალიან დაცხებაო. ჭკვიანი კაცია დელ ბოსკე და ზიდანიც ილვიძებს.

მერე ზიდანი აკეთებს იმას, რასაც მთელი დანარჩენი მსოფლიო — იცვამს და ხელ-პირს იბანს. კბილების გამოხეხვაც არ ავიწყდება.



## 9:00



საუზმის დროა, მაგრამ „რეალის“ ისეთი მკაცრი ფიზმომზადების მწვრთნელი ჰყავს, კაცს წესიერად არ ასაუზმებს. მსუყედ რომ ისაუზმოთ, ვეღარ ირბენთო. მენიუც, ცხადია, საგანგებოდ არის შერჩეული.

## 10:15



ზიდანი უკვე მოედანზეა და იმ მკაცრი ფიზმომზადების მწვრთნელის ბრძანებებს ასრულებს. და დგება ძალიან სასიამოვნო მომენტი — დელ ბოსკე დგება და ამბობს, გვეყო სირბილი და კუნთების ბერვა, ფეხბურთს მივხედოთო. ზიდანს აშკარად ეტყობა, რომ ტრენაჟორებს ბურთი ურჩევნია.

## 13:00



ვარჯიში დამთავრდა, მაგრამ ვინ აცლის ზიდანს გასახდელში შესვლას. ბლომად ხალხი მოსულა ზიდანის სანახავად და ახლა ავტოგრაფებს ელიან. ზიდანიც არიგებს.

## 13:15



ზიდანს ახლა სხვა ხალხი ჩასაფრებია. ესენი ჟურნალისტები არიან. კითხვები, კითხვები, კითხვები... ოღონდ არც ერთი სიტყვა პირად ცხოვრებაზე — ეს ზიდანის მოთხოვნაა.

## 13:30

და განა მხოლოდ ზიდანი მუშაობს. თავისი საქმე მზარეულებსაც გაუკეთებიათ და ფეხბურთელებს გაშლილ მაგიდებთან ეპატიჟებიან.

## 14:30

თქვენს სახელზე წერილებია. ზიდანი შვეიცარიაშია, ოჯახის წევრები კი ესპანეთსა და საფრანგეთში. ამას კიდევ მეგობრები დავუმატოთ და მოკლედ, წერილები ბლომადაა. წერილებზე პასუხის გაცემაც ფრიად სასიამოვნო და საპასუხისმგებლო საქმეა.

## 15:30



დასვენება გრძელდება, ოღონდ ამჯერად თანაგუნდელებთან ერთად. თუმცა იქამდე ზიდანი ცოლს ელაპარაკება ტელეფონით.

## 19:00



აბა, ბიჭებო, გვეყო დასვენება, საქმეს მივხედოთ — ვისენტე დელ ბოსკე დაფასთან დგას და ათასგვარი ტაქტიკური სქემები უტრიალებს თავში. თუმცა არა, თეორიამდე ჯერ ისევ ბურთი და მოედანია.

## 21:30



ესეც ვახშამი. მაგრამ ვახშმისას ისეთი სიხალისე არაა, როგორც საუზმისას და სადილისას. ბიჭები დაღლილები არიან. თუმცა ზიდანი და სხვები კმაყოფილები ჩანან, კარგად იმუშავეს.

## 21:30



ძილი ნებისა. ტკბილ სიზმრებს გისურვებთ.

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



„სარბიელის“ „კოსმოპოლიტური ბიუროს“ მონადინებამ შედეგი გამოიღო — დღეს თქვენს წინაშეა იტალიის უძლიერესი საკლუბო გუნდის, „გლადიატორე დი რომას“ მწვრთნელის აბიო ლიპპის ინტერვიუ ჩაწერილი მისავე კაბინეტში, სიფხიზლეში, კეთილი ნებით. ბატონ ლიპპისთან დაკავშირებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს საგარეო კრიმინალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ჯუმბერ მაკაროვმა, რისთვისაც მას საგანგებო მადლობას მოვახსენებთ. ქვემოთ გთავაზობთ ვრცელი საუბრის სუპერშემოკლებულ ვარიანტს.

— გამარჯობათ, ბატონო ლიპპი. ცხელა, არა?

— უჰ!

— ამ სიცხეში ფეხბურთზე როგორ ფიქრობთ?

— როგორც ხედავთ...

— გასაგებია. ბატონო ლიპპი, ახლა გაგანია სატრანსფერო სეზონია. ვინმე ახალი ხომ არ შეიძინა „გლადიატორე დი რომამ“.

— სამწუხაროდ მხოლოდ ერთი სიახლეა: პალერმოს „აგრესორესგან“ 87,3 მილიონ დოლარად ვიყიდეთ მცველი ნიკოლო ტრავმატინი. ჩვენთვის სასურველ სხვა მოთამაშეთა შესაძენად კლუბის პრეზიდენტმა სალვატორე გაფლანგიმ, სამწუხაროდ, თანხა არ გამოყო.

— მართლაც სამწუხაროა, თუმცა საინტერესოა, ვის შეძენას აპირებდით?

— დასამალი რაა. ჩვენ გვინდოდა კიდევ თორმეტი მცველის ყიდვა, რომელთაგან სამ ყველაზე ცნობილს დაგისახელებთ. ესენი არიან ანკონას „გალავანნის“ ცენტრალური მცველი მასიმო გატკინე, გრენობლის „ლე ზუანგის“ მარჯვენა მცველი მუკამბა ჯაჯგუ და ესპანური „ხერხადოს“ მარჯვენა მცველი მარია-ლუიზა დელ პირატე გონსალესი.

— და ახლა თქვენ, ალბათ, შეეგუეთ ფაქტს, რომ მომავალ სეზონში მათ გარეშე მოგიწევთ თამაში. მაშ, როგორ სქემას მიანიჭებთ უპირატესობას?

— ჩემი საყვარელი სქემაა 2-1-1-1-1,5-1,3-0,2-1-1-1.

— რა თვისებებს აფასებთ ფეხბურთელში (შიგნით)?

— ფეხბურთელი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს თავდადებული, თავდაუზოგავი, თავგადაკლული, თავგადაპარსული და თავგანწირული. ის უნდა იყოს ნადირი.

— და რას აქცევთ ყურადღებას თეორიულ მეცადინეობებზე?

— უმთავრესს! ესაა დაცვის მარჯვენა ფრთიდან მარცხენაზე ელვისებური გადანაცვლება და პირიქით.

— რა ჯილდოებს უმიზნებთ მოახლოებულ სეზონში?

— ყველას, რაც გზად დაგვხვდება. თუ ნამდვილი ჩემპიონი ხარ, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ვის წინააღმდეგ თამაშობ და რა შეჯიბრებაში. რა განსხვავებაა თასის ფინალში ჯანი ტრაპატონის ბიჭებს ხვდები თუ იმ თასის ფინალში ჯანი ვერსაჩის გოგოებს, შენ ისინი უნდა დაჯაბნო და თუ საჭიროა დაასისხლიანო. ასეთია ფეხბურთი.

— გმადლობთ ინტერვიუსთვის.

— იხარე შენ ოჯახში. მეობაში და გაგებაში, კაცი ხარ კაცური!

**ბაჩუნა ძიძია**

ბითუმად იყიდება საქრთამე კონვერტები. ფასი შეთანხმებით. მოგვმართეთ მისამართზე:

*ჩვენი მისამართია: ENGOTENGO@HOTMAIL.COM*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## ესპანეთი

**ალავესი:** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია).**

**ბეტისი: მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი).**

**ბილბაო:** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

**ბარსელონა:** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი).; **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

**სელტა:** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია)**

**დეპორტივო:** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).**

**ესპანიოლი:** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).**

**ლას პალმასი:** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

**მალაგა:** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაჲ არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია), მარსელო რომერო (ენეაროლი, ურუგვაი).**

**მალიორკა:** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

**ოსასუნა:** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე).**

**რაიო ვალეკანო:** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

**რეალი:** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); **როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

**სოსიედადი:** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია), ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი).**

**სევილია:** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

**ტენერიფე:** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

**ვალენსია:** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).**

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).**

**ვილიარეალი:** ორიოლ ლოსანო (ლეიდა), **კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

**სარაგოსა:** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ედმონტონი (კანადა). 3-12 აგვისტო


REUTERS

მარიონ ჯონსი ჯერ ლაღობს, მალე კი სერიოზულად გარჯა მოუწევს

# პროლოგი
## საბოს სიტყვა კანონია...

მაშინ, როდესაც ბებერ კონტინენტს მშვიდი ძილით ეძინა, კანადის ედმონტონში სპორტის დედოფალს ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ. ალბერტას პროვინციის დედაქალაქი გუშინდლიდან სამძლეოსნო მსოფლიოს ჩემპიონატის ბატალიებში გადაეშვა. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ მძლეოსნობის რაინდებს ახლა ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა ედმონტონის „თანამეგობრობის“ სტადიონზე მოუწევთ. 12 აგვისტომდე ჩრდილო ამერიკის ამ ქალაქში ბევრი დაძაბული პაექრობის მოწმენი გავხდებით. თუმც სანამ ასპარეზობები გახურდება, დაძაბულობა უკვე არის.

გუშინვე გამცნეთ, რომ რუმინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა 5 ათას მეტრზე რბენაში გაბრიელა საბომ ქოშები უკუღმა ყარა, თუ გინდათ, რომ ვიასპარეზო, მაშინ თაღლითი რუსი ოლგა ეგოროვა ახლოს არ გამაკაროთ და საერთოდაც სარბენ ბილიკზე მისი ფეხი არ ვნახოო.

გავიხსენოთ, რა აცხარებს საბოს: ამ ერთი თვის წინ პარიზის „ოქროს ლიგაზე“ რუსი ქალბატონი ყველაზე ძლიერ დოპინგზე — ეპოზე, იგივე ერითროპოეტინზე გამოიჭირეს. მიუხედავად ამისა, 3 ათას მეტრზე ჭერქვეშ რბენაში მსოფლიოს ჩემპიონი ედმონტონში მაინც მიიღეს, რადგან მისი დანაშაულის თუ უდანაშაულობის საბოლოოდ დასადგენად საკონტროლო B ნიმუშიც უნდა შემოწმდეს. პასუხი კი აგვიანებს. ამიტომ მას ედმონტონში გამოსვლის უფლება მისცეს. თუმცა რუმინელ საბოს ეჭვი არ ეპარება, რომ B სინჯითაც დადებით პასუხს მიიღებენ, ამიტომ მძლეოსნობის მამებს ახლავე მოუწოდებს, ან მე, ან ისო.

ბუნებრივიცაა მისი მოქმედება. ბოლო პერიოდის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ საბო რუს მორბენალთან ჭიდილში იჩაგრებოდა. ახლა კი მშვენიერი შანსი აქვს, ეგოროვა გზიდან ჩამოიშოროს. ამის პასუხს, ალბათ, ხვალ გავიგებთ. მანამდე რუსი მორბენალი დღევანდელი 1500 მეტრის საკვალიფიკაციო გარბენებიდან ამოაგდეს. თან იმედოვნებენ, 5 ათას მეტრზე პირველ გარბენებამდე ოთხი დღით ადრე იქნებ B ნიმუშის შემცველობა დადგინდესო.

ამასობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი მარიონ ჯონსიც დიდ საფიქრალშია. მან ჯერ კიდევ არ იცის, შეუერთდება თუ არა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თანაგუნდელებს.

„დიდი სურვილი მაქვს, 4X100 მეტრზე ესტაფეტაზე ვირბინო, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ამჯერად მხოლოდ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ 100 და 200 მეტრზე ვიასპარეზებ“ — განაცხადა ჯონსმა და იქვე დაამატა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მწვრთნელები მიიღებენ.

გაურკვეველ მდგომარეობაშია ჯონსის თანაგუნდელი, 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მორის გრინი. ირბენს თუ არა 200 მეტრზე, იმაზეა დამოკიდებული, რა ხასიათზე იქნება 100 მეტრზე რბენის შემდეგ.

„ამის შესახებ გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებ, როდესაც 100 მეტრზე ვირბენ. მე აქა ვარ და მზად გახლავართ, ესაა მთავარი“ — თქვა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონმა 100 და 200 მეტრზე რბენაში მორის გრინმა.

ჩვენ კი ის დაგვრჩენია, დაველოდოთ, შეძლებს თუ არა იგი ტიტულისა თუ ტიტულების შენარჩუნებას, რადგან თანამემამულე ტიმ მონტგომერის სახით ძლიერი მეტოქე ჰყავს და იოლი გასეირნება არ ელის. მით უმეტეს, რომ სეზონის საუკეთესო შედეგიც ამ უკანასკნელს ეკუთვნის — 9,84.

„მე აქ მორის გრინის დასამარცხებლად ვარ“ — იმუქრება მონტგომერი.

ოლიმპიურ ჩემპიონთაგან საჭოჭმანოა ბრიტანელი დენიზ ლუისის გამოსვლა. მიზეზი მუცლის გვრემა და პირღებინებაა, თუმც ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც შვიდჭიდელს ასეთი რამ ემართება. იგი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ცუდად გრძნობდა თავს. მიუხედავად ამისა, მეორე ადგილი დაიკავა. ავად იყო სიდნეიშიც, თუმცა ჩემპიონი გახდა.

„ფაქტია, რომ იგი ავადაა. ძნელია იმის თქმა, რა მოხდება. მდგომარეობა ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა“ — აცხადებს ლუისის მწვრთნელი ჩარლზ ვან კომენი, რომელიც საბოლოო პასუხს დღეს გვამცნობს.

**ზიზა ზურაბაშვილი**




დენიზ ლუისს ზედ ჩემპიონატის წინ ტრადიციულად კუჭი აწუხებს

გთავაზობთ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იაააფ) მიმდინარე რეიტინგებს ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. პირველ სახეობაში საუკეთესო სამეულებს მოგაწვდით, რაც ჩემპიონატის ფავორიტებზე მიახლოებით წარმოდგენას შეგიქმნით.

### ვაჟები

საერთო
1. მორის გრინი (აშშ) 1465 ქულა
2. ჰიშამ ელ გუერუჯი (მაროკო) 1457
3. რომან სერბლე (ჩეხეთი) 1434

100 მ.
1. მორის გრინი (აშშ) 1459
2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) 1393
3. ტიმ მონგომერი (აშშ) 1381

200 მ.
1. კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი) 1320
2. შონ კროუფორდი (აშშ) 1317
3. კონსტანტინოს კენტერისი (საბერძნეთი) 1316

400 მ.
1. მაიკლ ჯონსონი (აშშ) 1409
2. გრეგ ჰოუტონი (იამაიკა) 1330
3. სანდერლეი კლარო პარელა (ბრაზილია) 1327

800 მ.
1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1382
2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1379
3. ჯაბირ საიდ გერნი (ალჟირი) 1371

1500 მ.
1. ჰიშამ ელ გუერუჯი (მაროკო) 1454
2. ნოა ნგენი (კენია) 1416
3. ბერნარდ ლაგატი (კენია) 1393

3000-5000-10000 მ.
1. პოლ ტერგატი (კენია) 1406
2. მოჰამედ მურიტი (ბელგია) 1393
3. ალი საიდ სიიფი (ალჟირი) 1391

100 მ. თარჯრბენი
1. ანიერ გარსია (კუბა) 1413
2. ალენ ჯონსონი (აშშ) 1401
3. ტერენს ტრამელი (აშშ) 1394

400 მ. თარჯრბენი
1. ანჯელო ტეილორი (აშშ) 1424
2. ლეველინ ჰერბერტი (აშშ) 1385
3. ჰადი სუან ალ სომალი (საუდის არაბეთი) 1378

3000 მ. სტიპლჩეიზი
1. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) 1404
2. რუბენ კოსგეი (კენია) 1394
3. ბერნარდ ბარმარაი (კენია) 1390

სიმაღლეზე ხტომა
1. ვიაჩესლავ ვორონინი (რუსეთი) 1341
2. სერგეი კლიუგინი (რუსეთი) 1322
3. სტეფან ჰოლმი (შვედეთი) 1314

ჭოკი
1. ნიკ ჰაისონგი (აშშ) 1360
2. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) 1359
3. დანიელ ეკერი (გერმანია) 1353

სიგრძეზე ხტომა
1. ივან პედროსო (კუბა) 1397
2. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 1303
3. ოლექსიი ლუკაშევიჩი (უკრაინა) 1296

სამხტომი
1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) 1381
2. ჩარლზ მიხაელ ფრიდეკი (გერმანია) 1310
3. როსტისლავ დიმიტროვი (ბულგარეთი) 1299

ბირთვი
1. ადამ ნელსონი (აშშ) 1392
2. ჯონ გოდინა (აშშ) 1371
3. იური ბილონოგი (უკრაინა) 1339

ბადრო
1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 1415
2. ლარს რიდელი (გერმანია) 1364
3. ფრანც კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 1343

ურო
1. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 1332
2. კოჯი მუროფუში (იაპონია) 1331
3. ნიკოლა ვიძონი (იტალია) 1296

შუბი
1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 1355
2. კოსტადინოს გაციუდისი (საბერძნეთი) 1348
3. აკი პარვიაინენი (ფინეთი) 1324

ათჭიდი
1. რომან სერბლე (ჩეხეთი) 1434
2. ერკი ნოოლი (ესტონეთი) 1372
3. ტომაშ დვორაკი (ჩეხეთი) 1348

### ქალები

საერთო
1. მარიონ ჯონსი (აშშ) 1462
2. სტეისი დრაგილა (აშშ) 1451
3. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 1426

100 მ.
1. მარიონ ჯონსი (აშშ) 1432
2. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 1347
3. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) 1340

200 მ.
1. მარიონ ჯონსი (აშშ) 1344
2. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) 1315
3. დები ფერგიუსონი (ბაჰამის კუნძულები) 1313

400 მ.
1. კეტი ფრიმენი (ავსტრალია) 1377
2. ლორენ გრემ-ფენტონი (იამაიკა) 1363
3. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი) 1349

800 მ.
1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1414
2. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1378
3. ფაბიანა დუშ სანტუში (ბრაზილია) 1312

1500 მ.
1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 1390
2. კუტრე დულეჩა (ეთიოპია) 1349
3. ნურია მერა-ბენიდა (ალჟირი) 1342

3000-5000-10000 მ.
1. გეტე ვამი (ეთიოპია) 1419
2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 1418
3. სონია ოსალივანი (ირლანდია) 1384

100 მ. თარჯრბენი
1. გეილ დივერსი (აშშ) 1394
2. გლორი ალოზი (ესპანეთი) 1387
3. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 1382

400 მ. თარჯრბენი
1. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) 1370
2. ტატიანა ტერეშჩუკ-ანტიპოვა (უკრაინა) 1358
3. დიონ ჰემინგსი (იამაიკა) 1345

სიმაღლეზე ხტომა
1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1376
2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 1373
3. ჰესტრი კლოეტი (სამხრეთ აფრიკა) 1356

ჭოკი
1. სტეისი დრაგილა (აშშ) 1451
2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 1353
3. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 1310

სიგრძეზე ხტომა
1. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 1374
2. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 1355
3. ფიონა მეი (იტალია) 1339

სამხტომი
1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 1377
2. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 1363
3. ოლენა ჰოვოროვა (უკრაინა) 1282

ბირთვი
1. ლარისა პელეშენკო (რუსეთი) 1314
2. იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი) 1289
3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 1266

ბადრო
1. ფრანკე დიჩი (გერმანია) 1305
2. ნატალია სადოვა (რუსეთი) 1271
38 ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი) 1262

ურო
1. ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) 1304
2. კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი) 1268
3. კატალინ დივოში (უნგრეთი) 1230

შუბი
1. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) 1419
2. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) 1371
3. ტატიანა შიკოლენკო (რუსეთი) 1318

შვიდჭიდი
1. ელენა პროხოროვა (რუსეთი) 1358
2. ნატალია საზანოვიჩი (ბელარუსი) 1349
3. ნატალია როშჩუპკინა (რუსეთი) 1295

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დეტროიტ პისტონზი

დაარსდა 1941 წელს, ნბა-შია 1948 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი: 1989, 1990
მუდმივი ნომერი: 2 (ჩაკ დეილი, მწვრთნელი), 4 (ჯო დუმარსი), 11 (აიზია ტომასი), 15 (ვინი ჯონსონი), 16 (ბობ ლენიერი), 21 (დეივ ბინგი), 40 (ბილ ლემბირი)
დარბაზი: ობურნ ჰილზი, ტევადობა 22 076

# ძალიან კარგი ცუდი ბიჭები



აიზია ტომასი (წინ) ათი წელი ებრძოდა მეჯიკ ჯონსონს

**დღეს** გავიცნოთ ნბა-ს გუნდებიდან უძველესი — „დეტროიტ პისტონზი". მართალია, „დგუშები" ნბა-ს დაარსებიდან (მაშინ ბაა ერქვა) მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეუერთდნენ მას, მაგრამ ისინი პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაზე ხუთი წლით უფროსები არიან, რითაც ამაყობენ. „პისტონზი" ზედიზედ ორი ჩემპიონობითაც იწონებს თავს. თუმც დეტროიტელებმა ამ მხრივ მაინცდამაინც არ უნდა იტრაბახონ, რადგან ნანატრ ჩემპიონობას ოთხი ათეული წელი ელოდნენ. ეს რეკორდია არა მარტო ნბა-სთვის, არამედ ამერიკის ყველა პროფესიული ლიგისთვის. ისე კი, დეტროიტელებს ეს ანტირეკორდი ნაკლებად აღელვებთ, წლეულს ისინი სამოცი წლის მოიყარნენ და თუმც არცთუ კარგ ყოფაში არიან, მაინც ზეიმობენ მრგვალ თარიღს.

ისევე, როგორც სხვა ბევრ კლუბებს, „დეტროიტსაც" დიდი ტრადიციები აქვს. ერთი კია, 80-იან წლებამდე კლუბის ისტორია ერთობ მწირია ღირსშესანიშნავი ეპიზოდებით. ამ დრომდე „პისტონზი" არ იყო განებივრებული მძლავრი მოთამაშეებით, რის გამოც იშვიათად თუ უტევდა მწვერვალებს.

„დგუშების" მშობელია აწ განსვენებული მაგნატი ფრედ ზოლნერი. ეს კაცი ავტომობილების დგუშებს აწარმოებდა და საკუთარი ბიზნესის რეკლამირებისთვის საკალათბურთო გუნდის შექმნა მოუვიდა აზრად. ასე იშვა 1941 წელს „ფორტ ვეინ ზოლნერ პისტონზი" („პისტონი" ქართულად დგუშს ნიშნავს). ქალაქ ფორტ ვეინში დაბანაკებული ბატონი ზოლნერი დგუშებით ამარაგებდა მეზობელ საავტომობილო ქალაქ-გიგანტ დეტროიტს, თან თავისი პირმშოს წარმატებით ტკბებოდა. „პისტონზი" თავდაპირველად მომცრო ლიგაში, ნბლ-ში გამოდიოდა და 1944 და 45 წლებში ორჯერ იჩემპიონა. 1946 წელს ნბა (ბაა) დაარსდა, ორი წლის შემდეგ კი „ფორტ ვეინსაც" გაუღო კარი. „პისტონზის" ნამდვილი ისტორიაც 1948 წლიდან იწყება.

„დგუშებს" თავიდანვე არ გაუმართლათ. ისინი დასავლეთ დივიზიონში, დევების საუფლოში მოხვდნენ. „პისტონზი" ამაოდ ცდილობდა, რეგულარული ჩემპიონატის ცხრილში გაესწრო, პლეი ოფიდან კი გამოეგდო „მინეაპოლის ლეიკერსი" და „როჩესტერ როიალზი". „როიალზი" 1951 წლის ჩემპიონია, „ლეიკერსი" კი 1949, 50, 52, 53 და 54 წლებში იყო პირველი, ასე რომ, ნბა-ში პირველ ექვს სეზონში „პისტონზისთვის" ფინალის კარი დახურული იყო. 1955 წელს უმოქმედობა, როგორც იქნა, დამთავრდა, „პისტონზი" ფინალში გავიდა, იქ რჩეულ აღმოსავლელს, „სირაკუზ ნეშნელზს" შეხვდა და ჩემპიონობა აჩუქა.

„ფორტ ვეინის" მაშინდელი ლიდერი გახლდათ იმ დროის ვარსკვლავი ჯორჯ იარდლი, 50-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მექულე. იარდლეი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ნახტომში ისროდა ბურთს და ამსხვრევდა მითს, თითქოს ზუსტად სროლისთვის აუცილებელია მყარად დაებჯინო საყრდენს, იატაკს. დენტლი ორჯერ იყო ნბა-ს ბომბარდირი, მისი თამაში ნახტომში სროლას უწევდა პროპაგანდას. ამასთან, იგი გახლდათ პირველი მოთამაშე, რომელმაც ერთ სეზონში ორიათასქულიან ზღვარს გადააბიჯა.

1955 წელს ფინალში იარდლეი ბრწყინავდა, საწყისი ორი მარცხის შემდეგ „ფორტ ვეინმა" ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და სერიაში დაწინაურდა. მეშვიდე, გადამწყვეტ შეხვედრაში, „პისტონზი" მეორე მეოთხედში 17 ქულით იგებდა. კარსმომდგარმა წარმატებამ „დგუშები" ეიფორიაში ჩააგდო, ისინი წინასწარმა ზეიმმა დაღუპა. მეტოქემ შეძლო ჯერ სხვაობის გაქვითვა, შემდეგ კი დაწინაურება. მართალია, მატჩის დამთავრებამდე 12 წამით ადრე იარდლეიმ 91:91 გაათანაბრა, მაგრამ ამით გაფუჭებულ საქმეს არ ეშველა, „პისტონზმა" 92:91 დათმო ის მატჩი და ჩემპიონობაც ხელიდან გაუშვა. „დგუშები" მომდევნო წელსაც გავიდნენ ფინალში, იქ „ფილადელფია ვორიორზთან" სერია 1:4 წააგეს და ფინალს 32 წლით დაემშვიდობნენ.

1957 წელს ლიგის მზარდმა მოთხოვნილებებმა „პისტონზი" აიძულა, პროვინციული ფორტ ვეინიდან დეტროიტში გადაბარგებულიყო. არსებითად ამან ვერაფრით ახეირა „დგუშები", ვინაიდან ისინი პირველ ცამეტ დეტროიტულ სეზონს უარყოფითი ბალანსით ასრულებდნენ დიდ დარბაზში თამაშს აზრი არ ჰქონდა, ისედაც ცოტა ხალხი დადიოდა მატჩებზე.

დეტროიტში პირველ 24 სეზონში „დგუშებს" ბევრი არაფერი აქვთ კარგად მოსაგონარი. 60-იან წლებში აქ თამაშობდა ლეგენდარული დეივ დებუშერი, კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ალბათ ყველაფერი შეეძლო. დებუშერი თანაბრად ძლიერი იყო ფარქვეშ და პერიმეტრზე. განცვიფრებას იწვევს ის, რომ 1964-65 წლების სეზონის შუაწელს, როდესაც ფრედ ზოლნერმა მორიგი მწვრთნელი გააგდო, გუნდი სეზონის ბოლომდე 24 წლის დებუშერს ჩააბარა. ასე გახდა დეივი ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი. მას თავი არ შეურცხვენია. ეს კიდევ არაფერი, დებუშერი კალათბურთის პარალელურად ბეისბოლს მოედანზეც დარბოდა და კეტს მარჯვედ იქნევდა. ეს საქმე ცუდად არ ეხერხებოდა, თუმც მისი საბეისბოლო ნიჭის სრულად გაფურჩქვნას კალათბურთმა შეუშალა ხელი.

1968 წლისთვის, როცა დებუშერი „ნიუ იორკში" გადაბარგდა, მას უკვე



დეტროიტის ოქროსთაობელები: ჯო დუმარსი (მარცხნივ) და აიზია ტომასი

სამი „ოლ სტარი" ჰქონდა ნათამაშევი. იგი 1970 და 73 წლებში „ნიუ იორკს" ორი ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა, იმავდროულად იგი „ნიქსის" ერთ-ერთი ხელმძღვანელიც გახლდათ, 1975 წელს კი ნბა-ს კომისარი იყო. დღეს დებუშერი დიდების დარბაზის წევრია.

70-იან წლებში „პისტონზში" თამაშობდა კიდევ ორი მომავალი დიდების დარბაზის წევრი, გამთამაშებელი დეივ ბინგი და ცენტრი ბობ ლენიერი. შესანიშნავი დუეტი იყო, თუმც მათ ხელში „დეტროიტი" საშუალო დონეს ვერ ასცდა.

70-იანი წლების ბოლოდან „პისტონზს" მძიმე დრო დაუდგა. გუნდი რამდენიმე წელი ფსკერს ხეხავდა, თუმც სწორედ ეს ჩავარდნა დაედო საფუძვლად „დეტროიტის" აღმავლობას. 1981 წელს „დგუშებს" დრაფტში მეორე არჩევნის უფლება ერგოთ. „დეტროიტმა" 186-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი აიზია ტომასი აიყვანა.

აიზია ტომასი არასდროს გამხდარა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, არ ყოფილა დიდი ბომბარდირი, ამ მხრივ თავის გუნდშიც იშვიათად იყო პირველი, ვერც ნბა-ს პირველ სიმბოლურ გუნდში ხვდებოდა, თუმც ყოველივე ამის მიუხედავად, მას კალათბურთის თამაშის ნიჭი უხვად ჰქონდა მომადლებული. მშვენივრად ერკვეოდა გუნდურ თამაშში და არც ინდივიდუალურად მოიკოჭლებდა. როდესაც 1994 წელს იგი პენსიაზე გავიდა, დატოვა 13-წლიან კარიერაში დაგროვილი ცხრა ათასზე მეტი პასი, მეოთხე შედეგი ლიგის ისტორიაში.

„დეტროიტის" ახალმა მწვრთნელმა ჩაკ დეილიმ სწორედ ვერცხლისწყალივით მოძრავ და მარად მომღიმარ ტომასზე ააწყო „პისტონზის" თამაში, მოგვიანებით გუნდში მივიდნენ ვინი ჯონსონი (1982 წელს), ბილ ლემბირი (1982), ჯო დუმარსი (1985), დენის როდმანი (1986), მარკ აგუაირი (1988), მერე კი ჩემპიონობამაც არ დაახანა.

მწვრთნელი ჩაკ დეილი დაცვით თამაშს ქადაგებდა და შეგირდებსაც ამასვე ავალებდა. ბიჭები მალე გაიწაფნენ ბურთის ართმევაში, მოხსნებში, დაფარებაში... დუმარსი, ტომასის მეწყვილე უკანა ხაზში და მისი მარჯვენა ხელი და დენის როდმანი თითქმის ყოველ წელს ხვდებოდნენ დაცვის პირველ ხუთეულში. 1990 წელს როდმანი სეზონის საუკეთესო დამცველად აღიარეს. ჩაჭრების დიდოსტატი იყო ტომასი, დაფარება ეხერხებოდა ლემბირს და გუნდი საკუთარი ფარის წინ ფაქტობრივად გაუვალ კედელს აგებდა. არავის სიამოვნებდა ამ გუნდთან თამაში, გულშემატკივრებსაც არ მოსწონდათ „პისტონზი", ისინი, როგორც სპორტის ყველა სახეობის ქომაგი, ღია, გახსნილი თამაშის ცქერას ამჯობინებენ. ამიტომაც დაერქვათ „დგუშებს" მეტსახელად „ცუდი ბიჭები". ეს გუნდი ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესად ითვლება.

1988 წელს „პისტონზი" ბოლო 33 წლის განმავლობაში პირველად გავიდა ფინალში და იქ უდაძაბულეს ბრძოლაში 3:4 (ბოლო თამაში 105:108) დათმო მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსთან". მეჯიქ ჯონსონი, ტომასის მეგობარი და ყველა დროის უძლიერესი გამთამაშებელი, თავისი ბრწყინვალე კარიერის ყველაზე მუქ ლაქად 1989 წლის ფინალს თვლის. ფინალში ზედიზედ მეორედ გასულმა „დეტროიტმა" მაშინ 4:0 გაანადგურა მრისხანე „ლეიკერსი". ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ ჯო დუმარსი აღიარეს, რომლის საშუალო მონაგარმა ამ ოთხ თამაშში 27,3 ქულა შეადგინა. ეს იყო „დეტროიტის" პირველი ჩემპიონობა. „დგუშები" ცაში დაფრინავდნენ. არც აიზია ტომასი დარჩა ნაწყენი. 1990 წელს უკვე ის დაასახელეს ფინალის უძვირფასესად, როდესაც „დეტროიტმა" 4:1 დასცა „პორტლენდი" და მეორედ დაიდგა დაფნის გვირგვინი. „ღმერთო, ჩვენ ჩემპიონები ვიყავით, მხოლოდ იმიტომ მწყუროდა სიცოცხლე, რომ ამ სიხარულით დავმტკბარიყავი" — ამბობს დღეს აიზია ტომასი.

მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და „ცუდი ბიჭებიც" დაიშალნენ. პირველად მწვრთნელმა ჩაკ დეილიმ დატოვა გუნდი და „პისტონზს" გაჭირვების პერიოდი დაუდგა. 1993 წელს „პისტონზი" პლეი ოფშიც ვერ მოხვდა. იგივე განმეორდა მომდევნო წელს, ხოლო როდესაც 1994 წლის გაზაფხულზე გაწყვეტილმა აქილევსის მყესმა აიზია ტომასი აიძულა, პენსიაზე გასულიყო, „დეტროიტს" ცუდი ბიჭებიდან ჯო დუმარსიღა შემორჩენოდა, ალბათ, ყველაზე ჯენტლმენი კაცი, ვისაც ოდესმე კალათში ბურთი უსვრია. დუმარსი კიდევ ხუთი წელი ერთგულობდა „დეტროიტს", მერე კი მისი წასვლის დროც დადგა.

„დგუშები" დიდ იმედს ამყარებდნენ 1994 წელს დრაფტში აყვანილ გრანტ ჰილზე. მან გარკვეულწილად გაამართლა, თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ იქცა, თუმც მასთან ერთად „დეტროიტი" პლეი ოფის პირველ წრეს არ გასცილებია. 2000 წელს ჰილი „ორლანდოში" გადაბარგდა. როგორ არ სთხოვა დუმარსმა, დარჩიო, მაგრამ ამან არ გაჭრა. ჰო, სულ დაგვავიწყდა გვეთქვა, 2000 წლის ზაფხულში დუმარსი „პისტონზის" პრეზიდენტად დაინიშნა. 1985 წლიდან „დგუშების" ერთგული დუმარსი ისევ „დეტროიტშია". მის შემხედვარე „პისტონზის" ქომაგებს წარსულის დიდება ახსენდებათ და უკეთესი მომავლის იმედი უჩნდებათ.

**ირაკლი ფირუმვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიუსტონი სიზმარს ვეღარ ნახავს

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

1-2 აგვისტო

**დეტროიტ პისტონზი:** დაიტოვა დრაფტში აყვანილი ფორვარდი როდნი ვაიტი.

**მინესოტა ტიმბერვულვზი:** შეინარჩუნა უკანახაზელი ფელიპე ლოპესი.

**სან ანტონიო სფურზი:** შეინარჩუნა უკანახაზელი ჩარლზ სმიტი, აიყვანა ფორვარდი სტივენ ჯექსონი (ნიუ ჯერსიდან).

**ვაშინგტონ ვიზარდსი:** გაუცვალა უკანახაზელი ლარონ პროფიტი „ორლანდოს" დრაფტში აყვანილ ცენტრ ბრენდან ჰეივუდში.

**ჰიუსტონ როკიტსი:** ჯერ შეინარჩუნა, შემდეგ კი გაუცვალა „ტორონტოს" ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი, მომავალი დრაფტის ორი არჩევის უფლებაში.

**მოსახდენი** მოხდა, 17-წლიანი ერთგულების შემდეგ ჰაკიმ ოლაჯუონი გაეყარა „ჰიუსტონ როკიტსს" და კანადურ გუნდ „ტორონტო რეპტორზს" მიაშურა. ჰიუსტონში კი დაბნეულობა და გულგატეხილობა სუფევს. გუნდში კი ჯერ კარგად ვერ გაუცნობიერებიათ, რა მოხდა. „როკიტსმა" დაკარგა გაცილებით მეტი, ვიდრე 38 წლის ტრავმებით გატანჯული მოხუცი, რომელიც ერთ-ორ წელიწადში ისედაც გავიდოდა პენსიაზე. „ჰიუსტონს" გამოაკლდა კაცი, რომელიც ბოლო 17 წლის განმავლობაში გუნდის სიმბოლო იყო, დიდი მოთამაშე, რომოელსაც უმადლის ორ, 1994 და 95 წლებში მოპოვებულ ჩემპიონობას.

„ჩვენ ყველამ ცხოვრების უმძიმესი დღეები გამოვიარეთ, აღარ გვყავს ჯენტლმენი, რომელიც ამდენს ნიშნავს ჩვენი ქალაქისთვის და სრულიად კალათბურთისთვის" — დაბნეულია თვით „როკიტსის" გენერალური მენეჯერი კეროლ დოუსონი.

დიდი კალათბურთის თამაშის წყურვილით შეპყრობილი ნიგერიელი ოლაჯუონი 17 წლისა ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მას აქეთ ჰიუსტონს არ გასცილებია. ოთხი წელი თამაშობდა ამ ქალაქის უნივერსიტეტის გუნდში, შემდეგი ჩვიდმეტი წელი კი „როკიტსს" შეალია. დღეს იგი ტორონტოელია. „ჰიუსტონში" კი დარჩა მის მიერ მოპოვებული ორი ჩემპიონობა, მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 22,5 ქულა, 11,4 მოხსნა და 17 სეზონში დაგროვილი 3740 დაფარება. ამ უკანასკნელ მაჩვენებელში მას ლიგის ისტორიაში ბადალი არ მოეძებნება.

წლეულს ჰაკიმი თავისუფალი აგენტი გახდა და სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვიტა. „ჰიუსტონი" მას სამწლიან და 13-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობდა. „ტორონტომ" ოთხი მილიონით მეტი შეაძლია, ჰაკიმი დათანხმდა. „არა, ფული არაფერ შუაშია, ჰიუსტონი ჩემი სახლია, აქაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, ჩემთვის აუცილებელია სხვაგან გადასვლა. დიდხანს ვიფიქრე, სანამ გადავწყვეტდი. „ტორონტოს" ვჭირდები, ის მეც არანაკლებ მჭირდება — ამ გუნდში შანსი მექნება, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო, მაშასადამე გავიაზრო, რომ თამაში ჯერ კიდევ შემიძლია. ახლა თავს ახალბედასავით ვგრძნობ, რომელიც სულ სხვა სამყაროში ხვდება" — ამბობს ოლაჯუონი.

„ჰიუსტონი" ოლაჯუონს, როგორც თავისუფალ აგენტს, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ჰკარგავდა და გაურკვევლობის ჟამს იმდენი მოახერხა, ჯერ გაუფორმა კონტრაქტი, შემდეგ კი „ტორონტოში" გაცვალა. ამ გაცვლით „რაკეტებს" ერგოთ მომავალი დრაფტის ორი არჩევნის უფლება და ზურდად ხუთი მილიონი დოლარი.

ჰიუსტონელები ცდილობენ, შეეგუონ „სიზმრის", როგორც ოლაჯუონს ოკეანგალმა ეძახიან, დაკარგვას. ცდილობენ, გაუგონ მას. „როდესაც ხშირად იცვლი ცოლს, ძნელია მისი შეყვარება, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, აუცილებელია მას გაშორდე. „სიზმარმა" გააკეთა ის, რაც უკეთესი იყო მისთვის, მისი ოჯახისთვის. ჩვენ გვესმის მისი და კრიტიკას არ დავუწყებთ. ვინ ვართ ჩვენ, რომ ჰაკიმზე რაიმე ვთქვათ?" — ამბობს ოლაჯუონის აწ ყოფილი თანაგუნდელი კუტინო მობლი.

ტორონტო კი გახარებულია. გარდა იმისა, რომ „რეპტორზმა" ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი აიყვანა, სულ ცოტა, შვიდი წლით თავისთან დაიგულა მფრინავი ლიდერი ვინს კარტერიც. კანადურ გუნდს ეს სიამოვნება 94 მილიონი დოლარი დაუჯდა. კარტერის ძველ კონტრაქტს ერთი წლის შემდეგ გასდის ვადა, თუმც მან ძველ გუნდში დარჩენა წინასწარ გადაწყვიტა და ამ ხუთშაბათს ექვსწლიანი კონტრაქტი დაუდო „რეპტორზს". ამ გადაწყვეტილების მიღებაში 94 მილიონი მას აშკარად დაეხმარა.

ჰაკიმის აყვანამდე ტორონტოელებმა შეინარჩუნეს წამყვანი თავისუფალი აგენტები — ანტონიო დევისი და ჯერომ და ელვინ ვილიამსები, ასე რომ, ამჟამად მათი ფიქრები საჩემპიონო მწვერვალებს დასთამაშებს.

**ივანე ძობიაშვილი**



ჰაკიმ ოლაჯუონი „ჰიუსტონს" გაშორდა

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ზანქტ პაული | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-მიუნხენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-ლევერკუზენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტ.-გლადბახი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | როიტლინგენი-არმინია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 014 | ბოხუმი-კარლსრუე | 1,6 | 3,4 | 5,0 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ბაბელსბერგი-დუისბურგი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 016 | ჰანოვერი-ალემანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 18.00 | 017 | მაინცი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

6 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | ვალდჰოფი-აინტრახტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 021 | ლევერკუზენი (მ)-აუე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 022 | ურდინგენი-ფორტუნა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.00 | 023 | მაგდებურგი-მიუნსტერი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 024 | ფერლი-კილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 025 | ესენი-ბრაუნშვაიგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 17.00 | 026 | ქემნიცი-დრეზდენი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 17.00 | 027 | ოსნაბრიუკი-ვერდერი (მ) | 1,4 | 3,6 | 6,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 031 | ფულდა-მანჰაიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 032 | რეგენსბურგი-ანსბახი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 033 | ჰოფენჰაიმი-დარმშტადი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 034 | კიკერსიOბურგჰაუზენი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 035 | ზიგენი-აალენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 036 | ბაიერნი (მ)-კაიზერსლ. (მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 038 | ნანტი-ლანსი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 039 | სოშო-რენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 040 | მონაკო-მონპელიე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 041 | მეცი-ტრუა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 042 | ლიონი-სედანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 043 | ლილი-ლორიანი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 044 | გენგამი-ბასტია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 045 | ოსერი-პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 046 | სტრასბური-ნიცა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 047 | ნიორი-ლე ავრი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 048 | ნიმი-მარტიგი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 049 | ნანსი-ამიენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 050 | ლავალი-ისტრი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 051 | გრენობლი-ლე მანი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 052 | შატორუ-აიაჩო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 053 | კაენი-ვასკეალი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 054 | ბოლე-გენიონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 055 | კრეტეი-სენტ ეტიენი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

### ჩეხეთი. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 057 | ჰ.კრალოვე-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 058 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 13.15 | 059 | დრნოვიცე-ბანიკი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 19.30 | 060 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.30 | 061 | ოპავა-სინოტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 062 | პრჟიბრამი-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.30 | 063 | სიგმა-ბრნო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 064 | სიგმა-ბრნო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

### პოლონეთი. მე-3 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 066 | ვიძევი-ვისლა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.00 | 067 | პოლონია-კატოვიცე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 068 | პოლონია-კატოვიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.30 | 069 | რადომსკო-გროცლინი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.00 | 070 | ამიცა-პოგონი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 071 | შლიონსკი-სტომილი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 072 | ოდრა-გურნიკი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. მე-2 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 073 | დანდი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 074 | ჰართსი-აბერდინი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 075 | მოზერუელი-დანდი იუნ. | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 076 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 077 | რეინჯერსი-ლივინგსტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 078 | სტ.ჯონსტონი-დანფერმლაინი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 21.35 | 079 | კილმარნოკი-სელტიკი | 5,6 | 3,6 | 1,5 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. 1-ლი ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 080 | ეირდრი-რეითი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 081 | კლაიდი-ინვერნესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 082 | ფალკირკი-ეირი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 083 | პარტიკი-სენტ მირენი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 084 | როსი-არბროა | 1,8 | 3,3 | 3,6 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. 1-ლი ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 085 | ბირუიკი-ალოა | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 086 | ფორფარი-კლაიდბენკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 087 | ჰამილტონი-ქუინი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 088 | მორტონი-სტენჰაუზმური | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 089 | სტრანრარი-კოუდენბითი | 1,75 | 3,4 | 3,6 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. 1-ლი ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 090 | დამბარტონი-ბრეჩინი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 091 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1,8 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 092 | ოლჯინი-ისტ სტირლინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 093 | მონროუზი-ქუინზ პარკი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 19.00 | 094 | სტირლინგი-პიტერჰედი | 1,75 | 3,4 | 3,6 |

### ავსტრია. მე-6 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 102 | ადმირა-აუსტრია | 3,2 | 3,2 | 1,85 |
| 22.30 | 103 | კერნტენი-ბრეგენცი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 22.30 | 104 | რიდი-ზალცბურგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 105 | რაპიდი-გრაცერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. მე-6 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 106 | აარაუ-ციურიხი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 107 | გრასჰოპერი-სენტ გალენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.30 | 108 | ლუგანო-ლოზანა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 109 | ლუცერნი-სერვეტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.30 | 110 | ქსამაქსი-ბაზელი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 111 | იანგ ბოისი-სიონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-6 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 113 | კონკორდია-ვადუცი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.30 | 114 | დელემონი-ივერდონი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 115 | კარუჟი-ბელინცონა | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 20.30 | 116 | ლოკარნო-ვინტერთური | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.30 | 117 | თუნი-კრინსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.30 | 118 | ვილი-ბადენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### დანია. მე-3 ტური
5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 119 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 120 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 121 | ბრიონდბიუ-ოდენსე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 122 | ესბიერგი-ვაილე | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 18.00 | 123 | ვიბორგი-ორჰუსი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 20.05 | 124 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,2 | 3,3 |

6 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 125 | სილკებორგი-ლიუნგბიუ | 2,0 | 3,3 | 3,2 |

### რუსეთი. მე-20 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 127 | სატურნი-ჩერნომორეცი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 17.00 | 128 | ზილ-სპარტაკი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 17.00 | 129 | როსტსელმაში-როტორი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 17.00 | 130 | ტორპედო-ანჟი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 17.00 | 131 | ფაკელი-სოკოლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 17.00 | 132 | ალანია-ცსკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 133 | დინამო-ზენიტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### შვედეთი. მე-16 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 135 | ჰალმსტადი-აიკ | 1,95 | 3,1 | 3,5 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 136 | იურგორდენი-ჰეკენი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 137 | სუნდსვალი-იორგრიტე | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 138 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

6 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 139 | ნორჩიოპინგი-ჰამარბი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 140 | ტრელებორგი-იორებრო | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 141 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ნორვეგია. მე-17 ტური
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 142 | რუსენბორგი-მოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 143 | რუსენბორგი-მოსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 144 | ბოდიო გლიმტი-ლინი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 145 | ბრანი-სტრიომგოდსეტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 146 | ბრანი-სტრიომგოდსეტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 3,6 |
| 21.00 | 147 | ლილესტრიომი-ოდ გრენლ. | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 148 | მოლდე-ტრომსიო | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 149 | სტაბეკი-სოგნდალი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 150 | სტაბეკი-სოგნდალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 21.00 | 151 | ვიკინგი-ბრინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 152 | ვიკინგი-ბრინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ფინეთი. 24-ე ტური
5 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 158 | მიუპა-ტამპერე | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 159 | ატლანტისი-ჰიკ | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 20.30 | 160 | ვაასა-ჯაზი | 1,65 | 3,3 | 4,2 |
| 20.30 | 161 | ინტერი-როვანიემი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 20.30 | 162 | კუოპიო-ჰაკა | 2,7 | 3,1 | 2,3 |

### ბელგია. სუპერთასი
4 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 163 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3,0 | 3,3 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლები
4 აგვისტო

18.30 701 გერმანია (1-ლი)
24 და ნაკლები – 1,9; 26 და მეტი – 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**გურჯაანში**

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო. მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| **ქობულეთი** | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მე კარგად ვარ!

## ენდი ღლაპს სხვა არ აინტერესებს



ჯენიფერ კაპრიატი (ზემოთ) და მონიკა სელეში დიდი ხნის ნაცნობები არიან, იქნებ სან დიეგოს კორტზეც შეხვდნენ...



**სან დიეგო (აშშ)
„აკურა კლასიკი“
ჰარდი. საპრიზო 750 ათასი $**

არის შანსი, რომ ჯენიფერ კაპრიატიმ და მონიკა სელეშმა „აკურა კლასიკის“ 10 წლის წინანდელი ფინალი გაიმეორონ. მაშინ ისინი ღლაპები იყვნენ: სელეში 17-ისა, კაპრიატი — 15-ის და უმცროსმა დრამატულ მატჩში გაიმარჯვა 4:6, 6:1, 7:6(7:2). ეს იყო ყველაზე ახალგაზრდა ფინალი მაღალი დონის ჩოგბურთის ისტორიაში და სელეშზე იმ დამარცხებას დიდად არ უმოქმედია, წავიდა და ამერიკის ღია პირველობა მოიგო. „უძნელესი თამაში იყო — იხსენებს სელეში ყმაწვილქალობას — ჩვენ ორივეს ძლიერად დარტყმა შეგვეძლო და სანახაობრივად ვთამაშობდით, ამიტომ მახსოვს ის შეხვედრა. კიდევ ის მახსოვს, რომ ერთი კვირით ადრე ჯენიფერმა კიდევ ერთი ხელი მომიგო გადამწყვეტი ტაიბრეიკით და მერე ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში ვითამაშეთ. იქაც მესამე სეტის ტაიბრეიკმა გვიწია და გავაფრენდი, რომ წამეგო, მაგრამ ფორტუნა ამჯერად ჩემსკენ იყო“.

მერე ორივეს ცუდი დღეები ელოდა: სელეშს შტეფი გრაფის ფანის დანა და კაპრიატის ნარკოტიკებსა და კრიმინალში ყურყუმალაობა, მაგრამ ესეც უკვე წასული ამბავია, ორივენი დაუბრუნდნენ საყვარელ საქმეს და წარმატებითო, ბევრად უფრო კაპრიატიზე ითქმის. მან წლეულს ავსტრალიის ღია პირველობა და „როლან გაროსი“ მოიგო, მერე დამარცხდა უიმბლდონზე, მაგრამ ტემპს არ ანელებს, ისევ აღმა მიდის. „აკურა კლასიკზე“ მერვედფინალის მოსაგებად მას ცოტა დრო დასჭირდა, ძლიერმა ელენა დოკიჩმა ამერიკელს სათანადო პასუხები ვერ გასცა და 4:6, 2:6 დაეჩაგვრინა. ცოტა უკეთესი შედეგით გაიმარჯვა სელეშმა, 6:4, 6:1 ამერიკელ მეგან შონესისთან, მაგრამ როცა კაპრიატი — სელეშის შესაძლო შეხვედრაზეა ლაპარაკი, ერთხელაც ვიმეორებთ, „არის შანსი“ და არა უმეტეს, რადგან მათ ფინალამდე უძნელესი ბარიერები უნდა გადალახონ. სან დიეგოში თამაშობენ მარტინა ჰინგისი, ვინუს უილიამსი, ლინდსი დევენპორტი და სხვები, მოკლედ, ნაღები. სამივე ჩამოთვლილი მეოთხედფინალში გავიდა. ჰინგისმა გრძელკანჭება ალექსანდრა სტივენსონთან გაისეირნა, როგორც უილიამსმა ჩეხ დაჯა ბედანოვასთან. „ძალიან კარგი ახალგაზრდა მოთამაშეა — მაინც ასე თქვა კეთილშობილმა ვინუსმა — მაგრამ ცოტას ნერვიულობდა“.

რაც შეეხება დევენპორტს, მას მერვედფინალში ცოტა მეტი სამუშაო ჰქონდა, რადგან ავსტრიელმა ბარბარა შეტმა პირწმინდად წაგებული პირველი სეტის შემდეგ მეორეში წინააღმდეგობა გაუწია და საქმე კინაღამ ტაიბრეიკამდე მივიდა, მაგრამ 5:5-ზე დევენპორტმა ბრეიკი მოახერხა და მერე თავისი მოწოდებაც მოიგო.

წინ მიიწევს ხნიერი (საჩოგბურთო თვალსაზრისით) ნატალი ტოზია, ავტორი სკანდალური წიგნისა ჩოგბურთის კულისების შესახებ. ტოზიას ხმას არ სცემენ, ის კი იგებს. მეექვსედ განთესილმა ფრანგმა ბოლოს მე-10 ნომერ მაგდალენა მალეევას გადაუარა და წინ მრისხანე „შავი ვენერა“ ელის. ზედმეტი გვეჩვენება განმარტება, რომ ასე ვინუს კარგახანია უილიამსი მონათლეს.

**მერვედფინალი: ვინუს უილიამსი (აშშ, 2)** — დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:1; **მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1)** — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:1, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 3)** — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 15) 6:4, 6:2; **ლინდსი დევენპორტი (აშშ, 4)** — ბარბარა შეტი (ავსტრია, 16) 6:1, 7:5; **ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 6)** — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 10); **სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, 12)** — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:2, 6:4; **მონიკა სელეში (აშშ, 7)** — მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:1; **აი სუგიამა (იაპონია)** — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 4:1 (ტრავმა)

**ბაზელი. „პრეკონ ოუფენ“
თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $**

**მეორე წრე: ადრიანა გერსი (ჩეხეთი)** — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:3, 4:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 7)** — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:2, 6:4; **ანა სმაშნოვა (ისრაელი)** — ანა კარლსონი (შვედეთი) 6:1, 6:1; **კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი, 6)** — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:4, 5:7, 6:3; **გრეტა არნი (გერმანია)** — მაგუი სერნა (ესპანეთი, 2) 6:3, 6:0.

**დავით გულუა**

**მონრეალი. „მასტერსი“
ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $**

ენდი როდიკმა მერვედფინალში გუსტავო კუერტენი გალახა 6:7(4:7), 6:4, 6:2 და ამით მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა თითქმის 3 მილიონი დოლარიდან მეტი წილისთვის ბრძოლა დაასრულა. 18 წლის ნიჭიერი და მკლავღონიერი ამერიკელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველი სეტის წაგების შემდეგ არ ანერვიულებულა, მეორეში რკინის ხელით მართა პროცესები, მესამე სეტი კი ფაქტობრივად ცალკარა იყო. გუგამ ვერაფერი მოუხერხა როდიკის ყუმბარასავით დარტყმებს, რომლებიც უაღრესად ზუსტად ხვდებოდნენ საჭირო ადგილას.

„როცა ჰარდზე ვთამაშობ, თავი შინ მგონია — ემოციურად გააკეთა კომენტარი როდიკმა — კარგად ვარ და მეოთხედფინალსაც სრული ძალით ვითამაშებ, რადგან ჩემი თამაში ვიპოვე. მასტერსის მეოთხედფინალში უკვე აღარ არიან აშკარა ფავორიტები და წარმატებაზე ფიქრი ყველას შეუძლია“.

კუერტენი მოწყენილი ჩანდა, დღეს რაღაც მაკლდაო. „თან ისიც უშეცდომოდ თამაშობდა — თქვა გუგამ როდიკის შესახებ — თუმცა წაგებაში ერთი პოზიტიური მომენტიც ვნახე, რამდენიმე დღეს დავისვენებ“.

ამასობაში პატრიკ რაფტერი ამერიკელ ტოდ მარტინს ჩაგრავდა. ისინი მეგობრები არიან, მაგრამ რაფტერს არ შერცხვენია, მარტინისთვის 10 ურთიერთშეხვედრიდან 7 მოეგო, ხოლო გუშინწინ ავსტრალიელი ერთი საათით მოვარდნილ წვიმასაც არ შეუწუხებია, 6:4, 6:2 მოიგო. მისი მომავალი მეტოქე იქნება ესპანელი ხუან კარლოს ფერერო. ფერერომ უიმედოდ წაგებული პირველი სეტის შემდეგ მეორის ტაიბრეიკი ბეწვზე მოიგო 7:6(8:6) და ფსიქოლოგიურად ამაღლებულმა მესამე სეტში ლაღად გადაუარა ამერიკელ ჟან მაიკლ გემბილს, რომელსაც ქალები აღმერთებენ.

**მერვედფინალი: პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 9)** — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 6:2; **ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)** — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 7:5, 2:6, 6:3; **ანდრეი პაველი (რუმინეთი)** — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:0, 6:2; **ბოჰდან ულირახი (ჩეხეთი)** — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 1:6, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ)** — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 1) 6:7(4:7), 6:4, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)** — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ, 16) 2:6, 7:6(8:6), 6:3; **არნო კლემანი (საფრანგეთი, 10)** — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:0; **ტომი ჰაასი (გერმანია)** — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:7(4:7), 6:4, 7:6(7:5)



# ლოტიემ კორჩნოის გასაღები მოარგო



ჟოელ ლოტიე

**ბილის** ტურნირზე ბოლო ტურის წინ სიტუაცია კვლავ დაიძაბა, რადგან მხნედ მავალმა ვიქტორ კორჩნოიმ ამჯერად წააგო და მდევრები კვლავ ნახევარ ქულამდე დაიახლოვა, თუმცა საკმარისია, მე-10 ტურში პიოტრ სვიდლერს ზავით დაშორდეს და ტურნირს მოიგებს. თუ სვიდლერმა გაიმარჯვა, პირველი იქნება, თან ზედიზედ მეორედ. მოკლედ, ახსნა არ უნდა, ბოლო ტურში სვიდლერ-კორჩნოის დაფაა ცენტრალური.

მანამდე კი ჭარმაგმა კორჩნოიმ ზედმეტად ახალგაზრდულად მოინდომა თამაში, ამგვარი ქცევა კი ცინცხალტვინიან ჭაბუკებსაც ძვირად უჯდებათ, არამცთუ 70 წლის ვეტერანს. უკვე მე-10 სვლაზე კორჩნოიმ გაბედული სვლა გააკეთა, ოღონდ არაზუსტი, რითაც დაირღვა ფიგურების განვითარების წმინდა პრინციპი („ერიდეთ დებიუტში ერთი ფიგურით ორი სვლის კეთებას!“) და ლოტიემაც ორი ძალიან ღონიერი სვლით პარტია ხელთ იგდო. ორ პაიკში მხედრის შეწირვის შემდეგ ლოტიეს ფიგურები მთელ დაფაზე გაბატონდნენ და კორჩნოის, უნდოდა თუ არა, პასიურ დაცვაზე მოუწია გადასვლამ.

მე-17 სვლის შემდეგ უტევდნენ: თეთრი ლაზიერი, მხედარი და ორი კუ, შავ მეფეს კი არსებითად სულ 2 მსუბუქი ფიგურა და პაიკი იცავდა. კორჩნოის მხედრობის ბარე ნახევარი ლაზიერის ფრთაზე, საწყისი დისლოკაციის ადგილას დაკონსერვებულიყო და იმის ბრძოლაში ჩაბმას კარგა 3-4 სვლა უნდოდა. შემდეგ ლოტიემ ხელსაყრელად განავითარა ეტლიც. მის წინ იდგა საცოდავი შავი პაიკი (არავინ იცავდა) და როცა პაიკს მოკლავდა, ეტლს გზა ეხსნებოდა შავი მეფისკენ. ამ მომენტში ლოტიემ რატომღაც აურია და ეტლის ნაცვლად ლაზიერი აამოძრავა, მერე მოუვიდა უხეში არა, მაგრამ მაინც შეცდომები და საკონტროლო სვლების ამოწურვისთანავე კორჩნოიმ იგრძნო, რომ სული აღარ ეხუთებოდა. სამი თეთრი პაიკის სანაცვლოდ მხედარი მიიღო. სულ მალე კი ყველაფერი დამთავრდა — თითქოს სამშვიდობოს გასულმა კორჩნოიმ ერთი უხეში შეცდომით ჯვარი დაისვა. ეს მოხდა 42-ე სვლაზე (იხილეთ დიაგრამა), სადაც შავებმა ითამაშეს 42...ქd1? კორჩნოიმ ნახა, რომ თეთრები მარტივად გააგრძელებდნენ: 43. ლe5+ მფh6 44. ლf4+ მფg7 45. ეxf7+ ლxf7 46. ლg4+ ლg6 47. ლxd1 ლxe4+ 48. ლf3 და ლოტიე მოიგებდა მხედარს პაიკში, რაც შავების შემდგომ ბრძოლას აზრს დაუკარგავდა. კორჩნოი საერთოდ დანებების საჭიროებას დროულად ხვდება და ტვინს არ იწყალებს უაზრო წინააღმდეგობით. ამჯერადაც ზემორე სვლები პარტიაში კი არ გაკეთებულა, არამედ ექსპერტებმა გვამცნეს, თორემ შავებმა კაპიტულაცია უკვე მომდევნო სვლაზე გამოაცხადეს.

„პარტიის შედეგი კანონზომიერია — ამტკიცებს რუსი დიდოსტატი სერგეი შიპოვი — რადგან ვეტერანის თავხედური სადებიუტო სტრატეგია დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო“.

კორჩნოი მაინც ლიდერად დარჩა, რადგან სხვა ორ პარტიაში ყაიმი ალინუსხა და პირდაპირ გასაკვირია მე-9 ტურში თინეიჯერ ალექსანდრ გრიშჩუკის პასიურობა, თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ მეტოქედ ბორის გელფანდი ჰყავდა, ვისაც შავებით ყაიმის კეთება არ ესწავლება. გრიშჩუკს არ უცდია ბრძოლის შესამჩნევად გართულება, რუსულ პარტიაში თამაში მეტწილად ცენტრში მიდიოდა და როცა მხარეებმა იქ ერთმანეთის სიძლიერე შეიგრძნეს, ფლანგზე არ გადასულან, 25 სვლაში ზავით გაშორდნენ, ხოლო სვიდლერმა ლიდერის დაწევის საუცხოო შანსი დაკარგა.

სანკტპეტერბურგელი თეთრებით შვეიცარიის ჩემპიონ იანიკ პელეტიეს შეხვდა და ფრანგულ დაცვაში საკმაოდ აბურდული გაგრძელება არჩია. დებიუტი გამოირჩეოდა პაიკთა აღრევით, ერთ მომენტში თეთრებს გასამებული (!) პაიკებიც კი ჰყავდათ. როცა პოზიცია ნელ-ნელა დაიწმინდა, აღმოჩნდა, რომ ტაქტიკური გამჭრიახობით სვიდლერს ეჯობნა. ენდშპილში მას ჰყავდა 2 ზედმეტი პაიკი და ახლა ტექნიკის დემონსტრირება უნდა მოეხდინა, რაც სწორედ ვერ გამოუვიდა. ხუთ ათეულზე მეტი სვლის შემდეგ პელეტიემ იპოვა საჭირო რესურსები და ყაიმს გამორჩა. ახლა სვიდლერმა უსიკვდილოდ უნდა სძლიოს კორჩნოის, სხვანაირად ტურნირს ვერ მოიგებს.

**დავით გულუა**

**ვითარება 9 ტურის შემდეგ**

**1. კორჩნოი 5,5; 2. სვიდლერი 5; 3-4. გელფანდი, პელეტიე 4,5; 5. ლოტიე 4; 6. გრიშჩუკი 3,5.**





ვიქტორ კორჩნოი და მისი მეუღლე პეტრა ტურნირის მონაწილეთა პატივსაცემ ალაფურშეტზე საჩინო ფიგურები იყვნენ



იან ტორპი მსოფლიოს ჩემპიონის ექვსი მედლით

# ამ ბიჭმა წყალი დააფეხმძიმა

## იან ტორპის ნაყოფიერება თევზსაც შეშურდება

**მან** მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ავსტრალია მასზე ფიცულობს. მან შეძლო ის, რაც ბევრისთვის წარმოუდგენელი ჩანდა. მისი ვარსკვლავი სულ უფრო თვალისმომჭრელად იგი მხოლოდ საკუთარ თავს ეპაექრება და მისი ერთადერთი მეტოქე წამზომია. იგი ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, სახელად — იან ტორპი, ოღონდ არაჩვეულებრივი შედეგებით გამოირჩევა. მან „ცისფერი ბილიკები“ ევოლუციის ახალ საფეხურზე აიყვანა.

იან ტორპი დაიბადა 1982 წლის 13 ოქტომბერს. სიდნეიში ცხოვრობს და ვარჯიშობს. უმეტესწილად მეტსახელებით „ტორპედოდ“ ან „ტორპეიდ“ მოიხსენიებენ. მისი შედეგებით განცვიფრებულები სულ ახალ-ახალი ეპითეტებით ამკობენ, მაგალითად, „ბიჭი საოცრება“, „ვუნდერკინდი“.

უამრავი ტიტულის მიუხედავად, იგი მაინც თავმდაბალ ადამიანად რჩება. არადა, ამ 18 წლის ბიჭს ყველაფერი ხელს უწყობს გასაყოყოჩებლად.

ტორპს უყვარს დედის მიერ მომზადებული სადილი, იაპონური სამზარეულო, ნაყინი, მანგო, შოკოლადი, ნატურალური წვენები, ესპრესო მაჩიატო და დიეტური კოკა-კოლა.

მწვანეკონტინენტელთა ცურვისადმი სიყვარული კარგად მოგეხსენებათ. თუ ავსტრალიაში დაბადებული სპორტს გაჰყვა, ჩვეულებრივ, მორაგბე გამოდის, მოკრიკეტე ან მოცურავე. მანაც, როგორც ჭეშმარიტმა ოზმა, ყველაფერი მოსინჯა. სპორტის რომელ სახეობას აღარ მისდევდა. თამაშობდა კრიკეტს, რაგბის, ფეხბურთს. მერე კი ცისფერი ბილიკებისკენ გაექცა თვალი, მით უმეტეს, რომ მისი უფროსი და კრისტინა ცურვით იყო გატაცებული და საკლუბო დონეზე სხვადასხვა შეჯიბრშიც მონაწილეობდა. 8 წლისა უკვე სერიოზულად გაიტაცა ცურვამ. ცოტა ხნის შემდეგ გადაწყვიტა, დასავით რომელიმე კლუბის წევრი გამხდარიყო. თუმცა თავიდან ბევრი რამ ისე არ წარიმართა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მას ძალიან გაუჭირდა ცურვა. ხელისშემშლელი ფაქტორი აუზის წყალი გახლდათ. იანს ქლორზე ალერგია ჰქონდა. და თუ ცურვას არ დაიშლის, მაშინ ცხვირზე სარჭის გარეშე ამას ნუ იზამსო, გააფრთხილეს მისი მშობლები. ამის გამო მას თავისებური ცურვის მანერა ჩამოუყალიბდა — გართულების თავიდან ასაცილებლად თავაწეული ცურავდა. ასეთი სტილით 9 წლისამ უკვე პირველი მედალიც მოიპოვა. 15 წლამდე პედსტოუს საცურაო კლუბში ჯენი ეშპოულისა და კრის მაიერსის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა, რაც წამოიზარდა მას მერე დუგ ფროსტი წვრთნის. მას შემდეგ ტორპმა ძალიან სწრაფად აინაცვლა ელიტარულ მოცურავეთა პირამიდაზე. 1997 წელს შეიქნა ყველაზე ახალგაზრდა ავსტრალიელი, რომელმაც წყნარი ოკეანის თამაშებისთვის ნაკრებში მოსახვედრი ასპარეზობა მოიგო. ტორპზე ბრწყინვალედ იმოქმედა ნაკრების ატმოსფერომ. მისთვის პირველ დიდ საერთაშორისო შეჯიბრზე, იაპონიაში, ოთხ დისციპლინაში საკუთარი შედეგები გააუმჯობესა, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით კი მშვენიერი შედეგით გამოირჩა (3.49,64) და ვერცხლის მედალიც მოიგო. ეს უკვე დიდების მწვერვალისკენ მიმავალი გზა იყო. ასეთი შედეგი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მეოთხე ადგილს არგუნებდა, ნამდვილ აღიარებამდე კი დიდი დრო არ იყო დარჩენილი. 1998 წლის იანვარში პერტის საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე იან ტორპმა უკვე ქვეყანა აალაპარაკა. 15 წლის ბიჭმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით გაიმარჯვა და ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 4X200 „თავისუფალის“ ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად თანამეგობრობის რეკორდიც დაამხო და ორგზის იზეიმა ჩემპიონობა. იმავე წლის სექტემბერში მან კიდევ ერთხელ გააოცა ყველა, როცა თანამეგობრობის თამაშებზე ოთხი ოქროთი დაიხუნძლა და ყველა დროის ისეთ დიად ავსტრალიელ მოცურავეთა კამპანიაში შევიდა, რომლებსაც მის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვებიათ.

1973 წელს ეს შეძლო სტივ ჰოლანდმა, 1978 წელს — ტრეისი ვიკჰემმა.

იან ტორპს ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოუხდა — 3 ოქრო, 2 ვერცხლი — ასეთი მონაგარით მან სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლებით ყველას აჯობა.

ახლახან დასრულებულ საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე ტორპმა შეუძლებელი შეძლო. ავსტრალიელი ფუკუოკას წყლიდან ექვსჯერ ამოვიდა გამარჯვებული. ასეთი მიღწევით კი სხვა ვერავინ დაიკვეხნის. ტორპი გახდა ერთადერთი მოცურავე, რომელმაც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთბაშად მიაღწია ასეთ წარმატებას.

ამავე დროს, თუ პერტისა და ფუკუოკას მსოფლიოს პირველობებზე მოგებული ოქროების რაოდენობას შევკრებთ (2+6), მაშინ ტორპი ერთი უნიკალური რეკორდის მოზიარედაც მოგვევლინება. ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯამში 8 უმაღლესი ხარისხის მედალი აქამდე მხოლოდ აღმოსავლეთგერმანელ კორნელია ენდერს მოუპოვებია.

რაღა გასაკვირია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მყოფმა ჟურნალისტებმა, სპორტსმენებმა და გულშემატკივრებმა იან ტორპი შეჯიბრის საუკეთესო ათლეტად აღიარეს. გარდა ამისა, ექვსი უმაღლესი ჯილდოს მოპოვებისთვის „ტორპედო“ საუკეთესო ვაჟ სპორტსმენადაც დაასახელეს.

ტორპის ცხოვრება უფრო გართულდა, როდესაც სასურველ სარეკლამო ობიექტად იქცა. სკოლაში სიარული და ვარჯიში სულ უფრო შეუთავსებელი ხდებოდა, თანაც სპონსორებთან დადებული ხელშეკრულებები და ახალი ვალდებულებები სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ სიდნეის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად მეათე კლასიდან დაუსწრებელ სწავლაზე გადავიდა.

მისი სავარჯიშო გრაფიკი მეტად გადატვირთულია. დილით 4 საათსა და 15 წუთზე ილვიძებს და აუზზე მიდის. ვარჯიშს 5 საათზე იწყებს და 7-ზე ამთავრებს. გარდა ამისა, სამშაბათს და ხუთშაბათს აუზში ვარჯიშის მერე თითო საათს სპორტდარბაზში ატარებს. შუადღისას ისევ აუზს უბრუნდება და 2 საათი ვარჯიშობს. მას მხოლოდ ოთხშაბათი დილა აქვს თავისუფალი. ამ დროს ტორპს ძილი უყვარს, სძინავს შაბათ შუადღეს და მთელ კვირადღეს. თუ თავისუფალი დრო დარჩა, მეგობრებთან ერთად კინოში მიდის, მამასთან ერთად გოლფს თამაშობს, ან სულაც შინ ნებივრობს და მუსიკას უსმენს.

მისი საყვარელი ფილმია ბილი მედისონის „ტრეფიკი“.

მოსწონს სხვადასხვაგვარი მუსიკა, განსაკუთრებით „რედ ჰოთ ჩილი პეპერსის“, „ბლინქ 182“-ის და „დესთინი ჩაილდსის“ შესრულებით. ცხოველებიდან კი დელფინი და ლეოპარდი უყვარს.

ცალკე თემაა ტორპის ბრძოლა მსოფლიოს რეკორდებისთვის. 1998 წლის სექტემბრიდან მოყოლებული მან ასეთი შედეგებით 16-ჯერ განაცვიფრა ცურვის სამყარო. იგი თითქმის არც ერთ შეჯიბრს არ ტოვებს უმსოფლიორეკორდოდ. 1998 წლის აქეთ „ტორპეი“ თავისივე მსოფლიოს რეკორდებს აუმჯობესებს, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მას ამ საქმეში მოცილე არ ჰყავს. ერთადერთხელ მოხდა, რომ ტორპზე უკეთესი შედეგი სხვა მოცურავემ აჩვენა. და, ალბათ, ეს მისი ერთადერთი მარცხი იყო. მაშინ სიდნეის ოლიმპიურ წყალში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ტორპს სიურპრიზი მისმა ჰოლანდიელმა მეგობარმა და დიადმა მეტოქემ, პიტერ ვან დენ ჰოგენბანდმა მოუმზადა. თუმც მას შემდეგ ავსტრალიელმა ჰოგენბანდის მიერ ჩამორთმეული მსოფლიოს რეკორდი ორჯერ გააუმჯობესა, რაც ბოლოს ფუკუოკაში გააკეთა.

სხვათა შორის, მან იგივე შეძლო 400 და 800 მეტრზეც.

თუ ექსპერტები არ ცდებიან, იან ტორპი უდიდეს მოცურავედ შევა მსოფლიოს სპორტის ისტორიაში. ამის საფუძველს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მისი ფენომენალური მიღწევები იძლევა. თავად ტორპს კი აღიზიანებს, როდესაც მას უდიდესი მოცურავის ეპითეტებით ამკობენ. იგი თვლის, რომ ნაადრევია მისი განდიდება. თუ ამას ვიმსახურებ, ეს მაშინ გააკეთეთ, როდესაც ჩემს სპორტულ კარიერას დავასრულებო, ამბობს.

კარიერის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ტორპი იმედოვნებს, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს. ამჯერად მისი მიზანი მწვერვალზე ადგილის შენარჩუნებაა.

„წარმოდგენა არა მაქვს, ახლა სად ვარ და მომავალში სად ვიქნები — ზევით თუ ქვევით, უფრო სწრაფი ვიქნები თუ უფრო ნელი. არ ვიცი, როდის მივაღწევ ჩემი შესაძლებლობების პიკს. იქნებ უკვე მივაღწიე კიდეც, მაგრამ არ ვიცი.

ამაზე პასუხს მანამდე ვერ გავიგებ, სანამ კარიერას არ დავასრულებ“ — მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განაცხადა ტორპმა.

მართლაც, წინასწარ რაიმეს განჭვრეტა ძნელია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — მან მსოფლიო გააოგნა, წინ კი ათენისა და პეკინის ოლიმპიური თამაშებია. და ვინ იცის, კიდევ რით გაგვაკვირვებს „ტორპედო“, რომელსაც კარიერის დასრულებამდე კიდევ 10-12 წელი აქვს, მისი ტიტულების ჩამოსათვლელად შეიძლება საგაზეთო გვერდიც არ გვეყოს.

**ზიზა ბურასაშვილი**



# ლეგენდა ილზი ტოვებს ვოლაბებს

## რაგბი თავისი ტაძრის მცველს დაკარგავს

**ამაზე** უკვე რამდენიმე კვირაა, ლაპარაკობენ. ოღონდ ეს ჭორის დონეზე რჩებოდა და ბევრი ამბობდა, ის კიდევ შეცვლის გადაწყვეტილებასო. არადა, ასე არ მოხდა და ჯონ ილზმა ოფიციალურად გამოაცხადა:

„მივდივარ!“

31 წლის მორაგბე ჯერჯერობით მხოლოდ ავსტრალიის ნაკრებს ტოვებს, ბრისბენის შემადგენლობაში კი იქნებ ერთი-ორი სეზონი ისევ ითამაშოს. „ვოლაბთა“ კაპიტანი ბოლო ტესტს 1 სექტემბერს გამართავს სამი ერის ჩემპიონატის დასკვნით ტურში ახალი ზელანდიის წინააღმდეგ და მერე ფარდაც დაეშვება.

„ლეგენდა ტოვებს „ვოლაბებს“ — წერენ ავსტრალიური გაზეთები და მართალნიც არიან. მწვანე კონტინენტის ნაკრების კაპიტანს კარიერაში 83 კეპი მოუხვეჭია. იგი კიდევ ოთხ ოზთან ერთად მსოფლიოს თასის ორგზის (1991 და 99 წლები) მფლობელია. შარშან კი მისი წინამძღოლობით ავსტრალიელებმა სამი ერის ჩემპიონატიც პირველად მოიგეს.

ჯონ ილზი ერთადერთი წინახაზელია, ტესტებში 100 ქულაზე მეტი რომ მოუპოვებია. ეს მან ფეხით საუცხოო თამაშის წყალობით შეძლო. განსაკუთრებით დაძაბულ სიტუაციებში სწორედ ილზი ურტყამდა ჯარიმებს. მაგალითად, შარშან ახალ ზელანდიაში ბოლო წუთზე გადამწყვეტი დარტყმა შეასრულა და თავისიანებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოაპოვებინა. ღლეისთვის ილზს 173 ქულა დაუგროვებია და დარჩენილ სამ ტესტში ამ მარაგს იქნებ კიდევ მიუმატოს რაიმე.

„წასვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ბრიტანელ „ლომებთან“ ჩატარებული სერიის შემდეგ მივიღე. არ მინდა, ზედმეტი მატჩი ვითამაშო. მსურს, მადლობა ვუხადო ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში გვერდში მედგა — მეგობრებს, მწვრთნელებს, ჟურნალისტებს, ქომაგებსა და განსაკუთრებით ოჯახს, რომლისთვისაც ახლა გაცილებით მეტი დრო დამრჩება“ — განაცხადა ბრისბენში გამართულ პრესკონფერენციაზე ილზმა.

„ვოლაბების“ შერკინების მეორეხაზელი ნაკრებში 1988 წელს გამოჩნდა, უელსის წინააღმდეგ გამართულ მატჩში. კაპიტნობა კი მას 1996 წელს ჩააბარეს, რის შემდეგაც ავსტრალიამ 52 ტესტიდან 39 მოიგო. 1 სექტემბერს იგი კაპიტნის სამკლავურს, სავარაუდოდ, შერკინების ნახევარმცველ ჯორჯ გრეგანს გადაულოცავს.

რაგბის სამყარო ილზის ნაკრებიდან წასვლას ერთგვაროვნად გამოეხმაურა. ყველას გული დაწყდა. ავსტრალიელთა ახლახან წასულმა მთავარმა მწვრთნელმა როდ მაკქუინმა თქვა, რაგბი თავის „ტაძრის მცველს“ კარგავსო. 1999 წლის მსოფლიოს თასის მფლობელმა დევიდ უილსონმა განაცხადა, ეს ავსტრალიური რაგბისთვის უდიდესი დანაკლისიაო. ოზთა შუამარბმა დენიელ ჰერბერტმა კი სინანული გამოთქვა, ილზს კარიერის განმავლობაში საკადრისად არ აფასებდნენო.

თავად ილზი ამბობს, რაგბის სულ კი არ ვტოვებ, უბრალოდ, „ვოლაბი“ აღარ ვიქნებიო. ის მაკქუინის შემცვლელ ედი ჯონსს 2003 წლის მსოფლიოს თასისთვის ნაკრების მომზადებაში დაეხმარება და თან 19 და 21 წლამდე ნაკრებებთანაც იმუშავებს. „ამ საქმისთვის უკეთეს კანდიდატურას ვერც ვინატრებთ“ — თქვა ავსტრალიის რაგბის კავშირის თავკაცმა ჯონ ონილმა და მართალიცაა, რადგან ილზი არა მარტო დიდი მორაგბე, დიდი ადამიანიცაა.

**გაგი გურული**



ჯორჯ გრეგანი, როდ მაკქუინი და ჯონ ილზი ერთურთს ბრიტანელი ლომების ძლევას ულოცავენ

# როდის მორჩება კასტენიედი?

**უკვე** ცხრა თვე ხდება, რაც საფრანგეთის ნაკრებისა და ინგლისური „სარასენსის“ მორაგბე ტომა კასტენიედმა აქილევსის მყესი გაიწყვიტა. მაშინ მას ექიმები სწრაფ გამოჯანმრთელებას დაჰპირდნენ, სერიოზული არაფერიაო, მაგრამ სწორედ ამან დალუპა. კასტენიედმა ექვსი ერის ჩემპიონატის მოსამზადებლად საფრანგეთის ნაკრებთან ერთად დაიწყო ვარჯიში, ტრავმა გაირთულა და მას მერე სულ ექიმების ხელშია. ოთხშაბათს „სარასენსის“ ოფიციალურ კომუნიკეში მისი მოედანზე დაბრუნების დრო კიდევ გადაწეულია და ოქტომბრის შუა რიცხვებია ნახსენები.

ინგლისელებს თავიანთი უნიჭიერესი მცველის (საქართველოს ნაკრების ფრანგი გურუ კლოდ სორელი კასტენიედს მსოფლიოში საუკეთესოდ თვლის) დაბრუნებას სეზონის დასაწყისისთვის იმედოვნებდნენ, მაგრამ, რომ იტყვიან, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

კლუბის ხელმძღვანელობას ცივი წყალი გადაასხა „სარასენსის“ ექიმმა მეტ ჯონსმა: „მიუხედავად იმისა, რომ ტომამ ჩვენთან ერთად ივარჯიშა ბიარიცში, მისი თამაში ოქტომბრამდე მაინც გამორიცხულია“.

კასტენიედი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და ძირითადად ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, ფეხს დიდი დატვირთვა რომ არ დააწვეს. ყოფილი ტულუზელი და ბრიველი იმედოვნებს, იქნებ 6 ოქტომბერს ევროპის „ბუკლიეზე“ მაინც ვითამაშო რუმინეთშიო. ეს ტურნირი დაახლოებით იგივეა, რაც ფეხბურთში უეფას თასი. თუმცა „კაცებს შავებში“, როგორც სარასენსელებს ეძახიან, რუმინეთში მისი დახმარების დიდი იმედი მაინც არ უნდა ჰქონდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქვიშაზე

ზაფხული საპლაჟო ფრენბურთის ხანაა. მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას ყოველდღიური თამაშია გახურებული. ზღვისპირი და ქვიშა უქმად არსად დაუტოვებიათ. კლაგენფურტის ქვიშებშიც თამაშია გახურებული. ავსტრალიელი კეზ პოტჰარსტი ხელგაშლილი ელის ჩამოწოდებას, მისი მეტოქე, ტაილანდელი მო პანკა კი თითებით ანიშნებს ჩამწოდებელ თანაგუნდელს კომბინაციის რაობას. ისე, ავსტრალიურ წყვილს მოუგია — 2:0.




REUTERS კლაგენფურტიდან



REUTERS ედმონტონიდან

## ყოფილთა ჯახი

ლას ვეგასის „მენდელეი ბეი კაზინოს“ დარბაზში ამ შაბათს როჭოს წონის ორი ყოფილი ჩემპიონი შეერკინება ერთმანეთს. პოლ აიალა (მარცხნივ) სულ ახლახან იყო ასოციაციის (ვბა) ქამრის მპყრობელი და ტიტული იმიტომ დათმო, რომ ცოტახნით მაღალ წონაში აბარგდა, კლარენს ადამსს კი იგივ წონის ჩემპიონობა უმოქმედობისთვის ჩამოერთვა.



REUTERS ლას ვეგასიდან

## გაკვეთილი

ედმონტონში, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის წინ, სპრინტის ამერიკელმა ჩემპიონებმა მარიონ ჯონსმა და მორის გრინმა ედმონტონელ ბავშვებს სირბილის გაკვეთილი ჩაუტარეს. ვარსკვლავთა გაკვეთილის არსი და მიზანი ის ყოფილა, რომ სულ მეტი და მეტი ბავშვი ჩაებას მძლეოსნობაში და სპორტულ ცხოვრებას მისდიოს. მსოფლიო ჩემპიონატი კი გუშინ გაიხსნა.



REUTERS ედმონტონიდან

## სტუდენტთა შესახვედრად



REUTERS პეკინიდან

22 აგვისტოს, პეკინის მუშათა სტადიონზე ოცდამეერთე უნივერსიადა გაიხსნება. სტუდენტ სპორტსმენთა შესაგებებლად რამდენიმე ათასი მუშა ამშვენიერებს ქალაქს. ახალგაზრდობის შრომის, სწავლისა და ვარჯიშის გამომხატველი დიდი კონსტრუქცია ოდნავ კომუნისტური კია, მაგრამ მის აწყობას გვარიანი ჯაფა და ხარაჩოები სჭირდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge